მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე

საქართველო

სარჩევი

I. შესავალი 4

II. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტები და ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამები 5

შესავალი 5

თავისუფალი გადაადგილებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებების შეზღუდვა 6

განათლების უფლების შეზღუდვა ეთნიკური ნიშნით 6

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა; მოწაფეებისა და მასწავლებლების უკანონო დაკავებები 9

საქართველოს მთავრობის პროგრამები ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის 11

III. განხორციელების საერთო ღონისძიებები 12

საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებები 12

ყოვლისმომცველი სტრატეგია 13

მაკოორდინირებელი ორგანო 14

მონაცემების შეგროვება 15

ტრენინგი 15

IV. ძირითადი პრინციპები 15

დისკრიმინაციის აკრძალვა 16

სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება 19

ბავშვთა თვალსაზრისის პატივისცემა 19

V. სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები 20

დაბადების რეგისტრირება და მოქალაქეობა 20

წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა 21

VI. ოჯახური გარემო და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები 22

ოჯახური გარემო 22

მშობლებისგან განცალკევების პრევენცია 24

ზრუნვის ალტერნატიული ფორმები 25

განთავსების პერიოდული შემოწმება 29

შვილად აყვანა 30

ბავშვთა უკანონო გაყვანა საზღვარგარეთ და არდაბრუნება 32
სასტიკი მოპყრობა და უგულებელყოფა 34
VII. შეზღუდული შესაძლებლობები, საბაზისო სამედიცინო მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა 43
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 43
ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება 44
მოზარდთა ჯანმრთელობა 48
ფსიქიკური ჯანმრთელობა 49
აივ ინფექცია/შიდსი 50
ცხოვრების დონე 52
VIII. განათლება, თავისუფალი დრო და კულტურული ღონისძიებები 52
განათლების უფლება - პროფესიული მომზადებისა და ორიენტირების ჩათვლით 52
ინკლუზიური განათლება 53
IX. დაცვის სპეციალური ღონისძიებები 56
ლტოლვილი ბავშვები 56
იძულებით გადაადგილებული ბავშვები 57
ეკონომიკური ექსპლუატაცია, ბავშვის შრომის ჩათვლით 59
ქუჩის ბავშვები 61
ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია 62
ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) 63
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირება 66
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 66
უმცირესობათა ჯგუფებში შემავალი ბავშვები 67

I. შესავალი

1. საქართველოს მე-4 პერიოდული ანგარიში მომზადებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის (Convention on the Rights of the Child) 44-ე მუხლის შესაბამისად. წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს მესამე ანგარიშის წარდგენიდან (2007 წლის აგვისტოდან) 2013 წლის ჩათვლით.

2. წინამდებარე ანგარიში შედგენილია ბავშვის უფლებათა კომიტეტის საერთო სახელმძღვანელო პრინციპების (CRC/C/58/Rev.2, 23 ნოემბერი, 2010) მიხედვით. მისი მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები (CRC/C/GEO/CO/3).

3. ანგარიში მომზადებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან;[1] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან;[2] რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან; საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან; საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან; საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან; ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოსა და სხვა უწყებებთან თანამშრომლობით. ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებების მე-80 პუნქტის (CRC/C/GEO/CO/3) თანახმად, დასკვნითი მოსაზრებები გადაეგზავნა ზემოთ ჩამოთვლილ ყველა უწყებას.

4. გარდა ამისა, კომენტირების, გარჩევისა და შესწავლის მიზნით, წინასწარი ანგარიში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსაც გადაეცა. საქართველოს მთავრობამ სახალხო დამცველის უწყების მიერ გაკეთებული შენიშვნების უმეტესობა გაითვალისწინა.

---

[1] სახელწოდება "საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო" 2014 წლის იანვრიდან შეიცვალა სახელწოდებით "საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტრო";

[2] ამჟამად ეწოდება "შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი"

5. და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებით დიდ მადლობას უხდის წინამდებარე ანგარიშის საბოლოო დამუშავების საქმეში თანამშრომლობისა და დახმარებისთვის საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლობას.

II. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტები და ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამები

შესავალი

6. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ბავშვის უფლებათა დარღვევის ორწლიან პერიოდს - 2012-2013 წლებს - მოიცავს. მართალია, დოკუმენტში მოყვანილი ბევრი ტენდენცია ათწლეულზე მეტი ხნის წინ იღებს დასაბამს, მაგრამ განსაკუთრებით აშკარა გამოვლინება მათ 2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირების შემდეგ ჰპოვეს. რუსული ჯარების მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლებზე მავთულხლართების გაჭიმვის, სანგრების გათხრისა და სხვა ფიზიკური დაბრკოლებების შექმნის ფაქტებმა 2012 წლის შემდეგ საყოველთაო და ინტენსიური ხასიათი შეიძინა. შედეგად, საგრძნობლად დაზარალდნენ ოკუპირებულ რეგიონებსა და ადმინისტრაციული საზღვრების ახლოს მცხოვრები ადამიანები - მათ შორის ბავშვები. ეთნიკურ ნიადაგზე განსაკუთრებით ცუდ პირობებში აფხაზეთში, გალის რაიონში მცხოვრები ქართული წარმომავლობის ბავშვები აღმოჩდნენ. ოკუპირებულ რეგიონებში ბავშვთა უფლებები განსაკუთრებით გადაადგილების თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების, იდენტობის შენარჩუნების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ჯანდაცვისა და განათლების თვალსაზრისით ილახება, რაც „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს. იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ამ ტერიტორიებს ამჟამად რუსი სამხედროები და ჩინოვნიკები აკონტროლებენ, ასეთი დარღვევებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას - როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს.

7. ამ გარემოებებში, საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა “ჩართულობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა” (Engagement Strategy and Action Plan) (2010), რამაც, სხვა სიკეთეებთან ერთად, საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთა, მათ შორის ბავშვთა, განათლებისა და ჯანდაცვის პირობები.

თავისუფალი გადაადგილებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებების შეზღუდვა

8. რუსი მესაზღვრეების მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლებზე დაბრკოლებების აღმართვამ (როგორებიცაა, მაგალითად, მავთულხლართები, სანგრები, ბეტონის ბლოკები, საკონტროლო-გამშვები პუნქტები და ა.შ..) საგრძნობლად შეზღუდა ოკუპირებული ტერიტორიებ~~ი~~სა და დანარჩენ~~ი~~ საქართველოს მოსახლეობას შორის მიმოსვლა. საგულისხმოა, რომ ამ ადამიანთა შორის ბევრი ბავშვია.

9. 2012-2013 წლებში ხსენებული სასაზღვრო ბარიერების გამო 2 ბავშვი გარდაიცვალა, რამდენიმე შემთხვევა კი კინაღამ ფატალურად დასრულდა. 2012 წლის ივლისში 6 წლის ბავშვი გარდაიცვალა, აგვისტოში კი 13 წლის მოზარდი, რადგან დიდი რიგის გამო სასწრაფო დახმარების მანქანამ ვერ მოახერხა, ე.წ. "რუსეთ-აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის" დროულად გადაკვეთა. სანამ გეზს რუსეთისკენ აიღებდნენ, ბავშვების მშობლებმა ენგურზე გამავალი ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთა სცადეს, რომ ბევრად უფრო ახლოს მდებარე საავადმყოფოებისთვის მიეკითხათ სამეგრელოს რეგიონში, მაგრამ ისინი რუსმა "მესაზღვრეებმა" არ გაატარეს.

10. 2013 წლის იანვრის ბოლოს კინაღამ დაიღუპა 2 წლის ბავშვი, რომელსაც სხეულის 60% დამწვარი ჰქონდა. ბავშვის მშობლები იძულებულები გახდნენ შემოვლითი გზებით გადმოსულიყვნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რადგან რუსი ე.წ. "მესაზღვრეები" სათანადო საბუთების გარეშე საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ იძლევიან. ამ დაბრკოლების გამო, საავდმყოფოში მისვლის დროისთვის ბავშვის მდგომარეობა კრიტიკული გახდა.

განათლების უფლების შეზღუდვა ეთნიკური ნიშნით

11. ოკუპირებულ რეგიონებში ბავშვებისთვის განათლების უფლება რამდენიმე ფორმით ილახება - ეთნიკურ ნიადაგზე საბუთებთან თუ სკოლის არჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვებით დაწყებული და მასწავლებლების, მოსწავლეებისა თუ მშობლების უფლებების დარღვევით დამთავრებული.

12. გალის რაიონში ქართული დაბადების მოწმობების მქონე მოსწავლეებს,[3] წართმეული აქვთ მშობლიურ ენაზე სწავლის ფუნდამენტური უფლება. ოკუპირებულ

[3] ქართული დაბადების მოწმობები 2006 წლიდან გაიცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ (იუსტიციის სახლებში) - ძირითადად ქალაქ ზუგდიდში.

აფხაზეთში ისინი “უცხოელებად” ითვლებიან. 2013-2014 სასწავლო წლის დაწყების შემდეგ გალის რაიონში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. იმ ბავშვების მშობლებს, რომლებიც ქალაქ გალის ახლად გახსნილ ბაგა-ბაღში დადიოდნენ, ე.წ. “აფხაზური დაბადების მოწმობების” აღება დაევალათ, თუ არა და, მათი შვილები ბაღიდან გაირიცხებოდნენ. ხსენებულ ბაგა-ბაღში ქართული სერტიფიკატის მქონე 27 ბავშვი დადიოდა. 7 ოქტომბერს ბაღის დირექტორმა ყველა ეს ბავშვი გარიცხა. მშობლები იძულებულები გახდნენ ეთარგმნათ და ნოტარიულად დაემტკიცებინათ თავიანთი შვილების საბუთები. მხოლოდ ამის შემდეგ დაუშვეს ბავშვები ბაგა-ბაღში, მაგრამ ისინი დღემდე გარიცხვის საფრთხის ქვეშ არიან.

13. ქართული დაბადების მოწმობების მქონე მოსწავლეები კვლავაც არიან დარეგისტრირებული როგორც ბაგა-ბაღებში, ასევე საშუალო სკოლებშიც. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ამ ბავშვების მშობლებს ქართული საბუთების რუსულად თარგმნას და ნოტარიულად დამტკიცებას სთხოვს. ეს “წესი”, გამონაკლისის გარეშე, ყველა მოსწავლეზე ვრცელდება. 3 ოქტომბერს გალის N2 სკოლის დირექტორმა და ე.წ. პარლამენტის წევრმა ა.კ-მ ქართველ მასწავლებლებს პრობლემის მოსაგვარებლად ე.წ. “აფხაზური დაბადების მოწმობების” აღება უბრძანა, რაც საკმაოდ ძვირადღირებული პროცედურაა და, დაახლოებით, 20-30 ათასი რუბლი ჯდება.

14. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული დაბადების მოწმობები რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურს გადაეცემა და მათი მფლობელები მუდმივი თვალთვალის ობიექტები არიან. იმდენად, რამდენადაც ქართულ დაბადების მოწმობებში ბავშვის მშობლების საიდენტიფიკაციო კოდებია მითითებული, მიღებული ინფორმაცია რეპრესიების განხორციელების მიზნით გამოიყენება, რაც, სხვათა შორის, ხსენებული პირებისთვის “აფხაზური პასპორტების” გაცემის საკითხის გადახედვასაც გულისხმობს. გალის N2 საშუალო სკოლიდან უკვე 102 ქართული დაბადების მოწმობაა ექსპროპრირებული.

15. დაბადების მოწმობათა საკითხის გარდა, პრობლემურია “აფხაზური პასპორტების” საკითხიც, რაც გადაადგილებას ურთულებს ქართველ მასწავლებლებს. რუსი “მესაზღვრეები” განაგრძობენ მათ დაკავებას “საზღვრის უკანონო დარღვევის” გამო. დაკავებული მასწავლებლები რუსულ სამხედრო ბაზებზე გადაჰყავთ, სადაც მათ მთელი დღის განმავლობაში საგანგებოდ მოწყობილ საკნებში, ან სამხედრო ნაწილის ჰაუპტვახტში ამყოფებენ. ამის შემდეგ დაკავებულებს გალის მილიციაში აგზავნიან და სხვადასხვა მოცულობის ჯარიმებს ახდევინებენ. ასე ადამიანებს თითქმის ყოველდღე აკავებენ.

16. 3 ოქტომბერს, მასწავლებლებთან შეხვედრისას, გალის N2 საშუალო სკოლის დირექტორმა ა.კ-მ თანამშრომლებს მოსთხოვა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან წარმოედგინათ ცნობები საქართველოს მოქალაქეობის გაუქმების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ პასპორტების ჩამორთმევითა და

სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა. გარდა ამისა, ა.კ-მ კატეგორიულად მოსთხოვა მასწავლებლებს, უარი ეთქვათ საქართველოდან ფინანსური და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი დახმარებების მიღებაზე. ამ საბუთების წარსადგენად დირექტორმა მასწავლებლებს პირველ ნოემბრამდე მისცა ვადა. საგულისხმოა, რომ ეს მითითება დღესაც ძალაშია.

17. "აფხაზური პასპორტების" უქონლობა გადაადგილების პრობლემებს მშობლებსაც უქმნის. ამ მიზეზის გამო, მიმდინარე სასწავლო წელს გალელ მოსწავლეებს საქართველოს საჯარო სკოლებში არ უვლიათ. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ თუკი მშობლები "აფხაზეთის მოქალაქეები" არ არიან, შვილებს არ აქვთ ოკუპირებული გალისა თუ ტყვარჩელის რაიონებში არსებულ სკოლებში სწავლის უფლება. მიმდინარე აკადემიურ წელს ასეთ ბავშვებს უარი ეთქვათ პირველ კლასში ჩარიცხვაზე.

18. გალის რაიონში მომუშავე ქართველ მასწავლებლებს გალის ადმისტრაციისა და ე.წ. "უსაფრთხოების სამსახურისგან" აქვთ მკაფიო მითითება, გაწყვიტონ ყველანაირი კავშირი საქართველოს მხარესთან. ეს ეხება, ქართულ დაფინანსებას, სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, საკრედიტო/სადებეტო ბარათებსა და ა.შ.

19. 25 ნოემბერს საკუთარი სახლიდან გაიტაცეს გალის რაიონის სოფელ სიდის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი თ.ლ. ბოროტმოქმედებმა გამოსასყიდის სახით 50000 (ვალუტა უცნობია) მოითხოვეს. თ.ლ. გამტაცებლებმა 2 დღეში გაათავისუფლეს -მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ ტყვე შეიძლებოდა გულის შეტევით გარდაცვლილიყო. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, თ.ლ-ს სამედიცინო დახმარება ქუთაისის საავადმყოფოში აღმოუჩინეს. ამჟამად იგი თავს უკეთ გრძნობს, მაგრამ მაინც სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფება და ვეღარ ახერხებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას.

20. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავს იმ ფაქტის გამო, რომ გალის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულები სწავლას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობენ.[4] ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით, ეს სტუდენტები გაფრთხილებულები არიან, რომ ვერ იშოვიან აფხაზეთში სამსახურს, თუკი "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს" არ დაამთავრებენ.

21. პროფესიული საქმიანობის გასაგრძელებლად, ქართველი მასწავლებლები, კვლავაც იძულებულები არიან, "კვალიფიკაციის ასამაღლებლად" ძვირადღირებული სამწლიანი კურსი გაიარონ გალის რაიონში მდებარე რუსულ ჰუმანიტარულ სასწავლებელში.

[4] 2013 წელს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში 60 აბიტურიენტი ჩაირიცხა აფხაზეთიდან.

22. 30 სექტემბერს დე-ფაქტო ხელისუფლება “გამარჯვების დღეს” სხვადასხვაგვარად აღნიშნავდა მთელ აფხაზეთში. გალის რაიონის ყველა სოფლის მოსწავლეები და მასწავლებლები იძულებულები გახადეს, ყვავილებითა და გვირგვინებით მოერთოთ “აფხაზეთის გმირთა მემორიალი”. ბავშვებს რუსული ან აფხაზური სიმღერებისა და ცეკვების შესრულება დაევალათ. ამ კონცერტმა თავსხმა წვიმაში ჩაიარა. ხსენებულ ღონისძიებაში მონაწილეობა ყველა სკოლას ევალებოდა. მანამდე კი მასწავლებლებს ათგვერდიანი კვლევა უნდა დაეწერათ აფხაზეთის ყოფილი დე-ფაქტო პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას შესახებ.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა; მოწაფეებისა და მასწავლებლების უკანონო დაკავებები

23. გალის რაიონში, სადაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენენ, ქართულ ენაზე, თუ ქართული ენის სწავლება ან სრულიად აკრძალულია, ანდა ძალიან შეზღუდული. ქართული ენის ნაცვლად სკოლებში რუსულს ასწავლიან. ქართველი მასწავლებლები იძულებულნი არიან ქართული ენა, საკუთარი რისკის ფასად, ფარულად ასწავლონ. ქართული ენის ფარულად სწავლაში/სწავლებაში “მხილებული” მასწავლებლები და მოწაფეები (მაგალითად, თუკი პიროვნებას ქართული სახელმძღვანელო აღმოუჩინეს) ხშირად ფიზიკური ანგარიშსწორების ობიექტები ხდებიან. შედეგად, იმისათვის, რომ ქართულ ენაზე ისწავლონ, მოწაფეები იძულებულები არიან, ზუგდიდის რაიონის კილომეტრებით დაშორებულ ქართულ სკოლებში იარონ სახიფათო გზებით. ზოგ შემთხვევაში კი მოსწავლეებს უწევთ მათთან ახლოს მდებარე სკოლებში სიარული ოკუპირებულ ტერიტორიაზე. თუმცა ქართველ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სულ უფრო ხშირად აკავებენ და სულ უფრო მეტი სირთულის დაძლევა უწევთ, როცა სწავლის/სწავლების მიზნით, შემოვლითი გზებითა თუ საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლით ოკუპირებული რეგიონებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გამყოფი ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთას ცდილობენ.

24. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა წალენჯიხის მახლობლად გამავალ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან. გალის რაიონის სოფლების, ღვაშიგვერდისა და რიყის (სოფელ საბერიოს თემი) ბავშვები წალენჯიხის რაიონის სოფლების, წყოუშისა და ფახულანის სკოლებში დადიან (წელს ცხოუშის საჯარო სკოლაში 28 ასეთი მოწაფე ირიცხებოდა, ფახულანის სკოლაში კი -9). ამ ბავშვებს არ შეუძლიათ საბერიოს სკოლაში სწავლა, რადგან ეს ქართული სკოლა რუსულად გადაკეთდა და სასწავლო პროცესი იქ ახლა რუსულად მიმდინარეობს, ქართულ ენას კი მეორადის (ან უცხო ენის) სტატუსი აქვს მინიჭებული და ძალიან შეზღუდული დრო ეთმობა. სექტემბერში საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მდგომი რუსი სამხედროები ამ ბავშვებს ცხოუშის სკოლის გაკვეთილებზე დასასწრებად “საზღვრის”

გადაკვეთის უფლებას არ აძლევდნენ. მხოლოდ 8 მოზარდი ბედავდა “უკანონო” და სახიფათო გზებით (ტყე-ტყე) წალენჯიხის რაიონში გადასვლას. ცხოუშის საჯარო სკოლის დირექტორის ვ.გ-ს ინფორმაციით, 25-მა საბერიოელმა მოსწავლემ მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს შეძლო ცხოუშის სკოლის მეცადინეობებზე დასწრება.

25. აფხაზეთის ომამდე და ომის შემდეგაც, გალის რაიონის სოფელ ნაკარღალის (ფიჩორის თემი) ბავშვები ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის საშუალო სკოლაში დადიოდნენ, რომელიც ნაკარღალიდან მხოლოდ 2-2,5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. დღესდღეობით, რუსული საოკუპაციო ძალები 30 მოსწავლეს არ აძლევენ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლის უფლებას სპეციალური საშვების გარეშე. ამის გამო 10 მოწაფე იძულებული გახდა, სწავლა ფიჩორის საშუალო სკოლაში გაეგრძელებინა, რომელიც მათი სოფლიდან 7-8 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ის მხარე მთლიანად უღრანი ტყეებითაა დაფარული და იქ სიარული უაღრესად სახიფათოა. დანარჩენი 20 მოსწავლე კვლავ განაგრძობს “უკანონო” შემოვლითი გზებით ზუგდიდის რაიონის სხვადასხვა საჯარო სკოლაში სიარულს. ზოგი მათგანი ზუგდიდის რაიონში რჩება ხოლმე ნათესავებთან.

26. 2013 წლის 10 დეკემბრის დილას, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე მდგომმა რუსმა სამხედროებმა “საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის” გალის რაიონის სოფელ საბერიოს ორი არასრულწლოვანი მკვიდრი დ. და ზ.ა დააკავეს. ბავშვები “უკანონო” საცალფეხო ბილიკებით ფახულანის საშუალო სკოლაში მიდიოდნენ. ისინი რუსულ სამხედრო ბაზაზე, იქიდან კი გალში, “უშიშროების სამსახურის სამმართველოში” გადაიყვანეს. რუსმა სამხედროებმა მკაცრად გააფრთხილეს ზ.ა. და დ.ა., აღარასოდეს ევლოთ იმავე გზით, თორემ სათანადო ზომებს მიმართავდნენ. ბავშვები იმავე დღეს გაათავისუფლეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ფახულანის სკოლაში გაკვეთილებს აღარ დასწრებიან.

27. ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩასა და გალის რაიონის სოფელ ნაბაკევს შორის მდებარე საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მდგომი რუსი სამხედროები ხურჩელ ბავშვებს ნაბაკევის #13 საშუალო სკოლის გაკვეთილებზე დასასწრებად ე.წ. “საზღვრის” გადაკვეთის უფლებას არ აძლევენ. 2013 წლის ოქტომბრის მიწურულს მათ სხვადასხვა ასაკის 28 ბავშვს არ მისცეს ნაბაკევის სკოლაში სიარულის საშუალება და “საზღვრის უკანონო გადაკვეთაში” დაადანაშაულეს. ამის გამო, 17 მოწაფე იძულებული გახდა სწავლა ზუგდიდის რაიონის სხვა სკოლებში გაეგრძელებინა. თუმცა 11-მა ბავშვმა უარი თქვა სხვა სკოლაში გადასვლაზე და სწავლის გასაგრძელებლად “ნებართვას” დაელოდნენ. ამ ბავშვთა სია, რუსულად თარგმნილ და ნოტარიულად დამოწმებულ მეტრიკებთან ერთად, შემდგომი შესწავლის მიზნით, გალის “უსაფრთხოების სამსახურს” გადაეგზავნა. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, ხსენებულ 11 მოსწავლეს საკონტროლო-გამშვები პუნქტის გასავლელად საჭირო “საშვების” გაცემაზე უარი უთხრეს. მათ მშობლებს კი, რომლებსაც ე.წ. “აფხაზური პასპორტები” არ აქვთ, გალის ადმინისტრაციამ ბავშვების ზუგდიდის

რაიონის სკოლებში გადაყვანა ურჩია. კერძოდ, ნოემბრის დასაწყისში, გალის რაიონის დე-ფაქტო ადმინისტრტაციის ხელმძღვანელმა, ბესლან არშბამ ქართველი მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ადგლობრივმა მოსახლეობამ დროა, "უარი თქვას ერთდროულად ორ რესპუბლიკაში ცხოვრებაზე" და ერთხელ და სამუდამოდ "აირჩიოს, აფხაზეთში უნდა ყოფნა, თუ -საქართველოში". შესაბამისად, მშობლებს სხვა გზა აღარ აქვთ დარჩენილი გარდა იმისა, რომ შვილები ზუგდიდის რაიონის სკოლებში დაარეგისტრირონ. ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის საშუალო სკოლის დირექტორის დ.მ-ს ინფორმაციით, 11 მოსწავლიდან 5 უკვე ჩაირიცხა კოკის სკოლაში, რომელიც ხურჩიდან დაახლოებით 3 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. დანარჩენი 6 მოსწავლე სახიფათო შემოვლითი გზებით (ტყეების გავლით) განაგრძობს ნაბაკევის სკოლაში სიარულს.

28. 2013 წლის 17 ოქტომბერს, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მესაზღვრეებმა ე.წ. "კობერიძეების" ბილიკზე (ნაბაკევი, გალის რაიონი), "საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის" ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მცხოვრები მოზარდები -ნი. და ნა. მ-ები დააკავეს და ნაბაკევის სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს. უკანონოდ დაკავებული არასრულწლოვნები ნაბაკევის საშუალო სკოლაში სწავლობენ. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ისინი სხვა სკოლაში გადასვლის პირობით გაათავისუფლეს.

საქართველოს მთავრობის პროგრამები ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის

29. 2012-2013 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად განაგრძო ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიათა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების კუთხით მუშაობა. მთავრობის მიერ ჯანდაცვის საჭიროებებისთვის გამოყოფილმა მთლიანმა ბიუჯეტმა ამ პერიოდში დაახლოებით 5.5 მილიონი ლარი შეადგინა. საქართველოს ხელისუფლება აფინანსებდა, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსულ პირთა მკურნალობას, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა ადგილზე მკურნალობასაც.

30. "მიმართვიანობის (რეფერირების) სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა, ბავშვების ჩათვლით, კვლავ განაგრძობდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დახმარების მიღებას თბილისის, ზუგდიდისა და ქუთაისის საავადმყოფოებში. სამედიცინო მომსახურების მისაღებად ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებს არანაირი სპეციალური საბუთი არ ესაჭიროებოდათ. "მიმართვიანობის (რეფერირების) სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში უფასო სამედიცინო დახმარება ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებმა 3200-ზე მეტმა პირმა მიიღო და მათი დაახლოებით 20% თვრამეტ წლამდე ბავშვი იყო.

31. 2013 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფს ქვეყნის მთელ მოსახლეობას, ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის ჩათვლით. პროგრამა მოიცავს ყველა ასაკობრივ კატეგორიას და ავსებს 2012 წლის სექტემბერში დაწყებულ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ჯანმრთელობის დაზღვევის უფასო პოლისებით უზრუნველყოფდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ და პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე მცირეწლოვან (6 წლამდე) და საპენსიო ასაკის (60 წელს ზემოთ ქალებსა და 65 წელს ზემოთ მამაკაცებს) პირებს.

32. 2012-2013 წლებში საქართველოს მთავრობა "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის" თანახმად, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონს "საკოორდინაციო მექანიზმის" საფუძველზე სხვადასხვა სახის მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებას სთავაზობდა. მათ შორის იყო: ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები, სხვადასხვა სახის ვაქცინები, ანტივირუსული პრეპარატები, ტუბერკულოზის სამკურნალო მედიკამენტები, აივ ინფექციის/შიდსის მკურნალობა, ვეტერინარული ვაქცინები, დედათა და ბავშვთა სამკურნალო მედიკამენტები და ა.შ.

33. განათლების სფეროში საქართველოს ხელისუფლება ერთგულად განაგრძობდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო და შემეცნებითი პროგრამების განხორციელებას. ამ მიზნით, მთავრობა კვლავინდებურად აგრძელებდა ოკუპირებული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული სასკოლო ატესტატების მიღების პოლიტიკას და აფხაზეთიდან ჩამოსულ სკოლადამთავრებულებს მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა. 2012 წელს, აფხაზეთიდან 164 აბიტურიენტი მონაწილეობდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში. საქართველოს მთავრობა სწავლის საფასურს უხდის 150 სტუდენტს, რომლებიც, სულ მცირე, ბოლო ორი წლის განმავლობაში მაინც, სწავლობდნენ ოკუპირებულ რეგიონებში და ოკუპირებული რეგიონების სკოლებში მიიღეს საშუალო განათლების ატესტატები. ამ სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად ერთიან ეროვნულ გამოცდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევაც ეყოთ.

III. განხორციელების საერთო ღონისძიებები

საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებები

34. ანგარიშგების პერიოდში საქართველოს კანონმდებლობის "ბავშვის უფლებათა კონვენციასთან" მეტ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მრავალი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები შეიცავდა:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესულ ცვლილებებს (2008) მშობელთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესულ ცვლილებებს ბავშვის უფლებათა დაცვის პროცედურული საკითხების შესახებ;
- საქართველოს კანონს "შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" (2007 და 2009) და ამ კანონის 2011 და 2012 წლების ცვლილებებს;
- საქართველოს კანონს "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" (2009);
- საქართველოს ორგანულ კანონს "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" (2010);
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და პატიმრობის კოდექსში (2010) შესულ ცვლილებებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა შესახებ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (2012) შესულ ცვლილებებს ოჯახში ძალადობის შესახებ;
- საქართველოს კანონს "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"(2012);
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივ ბრძანებას (N152/ნ-N496–N45/ნ) "ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ" (2010 წლის 31 მაისი);
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას N 201-59/ნ "ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს კანონს "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (2014);

35. მიმდინარე კანონპროექტებია:

- კანონპროექტი იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

ყოვლისმომცველი სტრატეგია

36. საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის 10 დეკემბრის N869 და 2014 წლის 24 აპრილის N762 დადგენილებებით დაამტკიცა "ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამოქმედო გეგმა" და "ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა", რომლებითაც განისაზღვრა სახელმწიფოს პრიორიტეტები გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შესრულების საქმეში. გეგმის შესრულებაში სხვადასხვა უწყება ჩაერთო. მათ შორის: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სახელმწიფო უწყებები მჭიდროდ თანამშრომლობენ საერთაშორისო პარტნიორებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გეგმის განხორციელების პროცესში, რაც სამოქალაქო საზოგადოებასთან ახლო კავშირსა და კონსულტაციასაც გულისხმობს.

37. "ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამოქმედო გეგმის" შედგენა უაღრესად მრავალმხრივი პროცესი იყო, რომელშიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები ობოლთა თავშესაფრის ბავშვები, ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნებული ბავშვები, შვილად აყვანილი ბავშვები, უსახლკარო ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და "თბილისის ბავშვთა მრჩეველთა საბჭოს" წევრები; აგრეთვე, მათი მშობლები (ბიოლოგიური თუ მშვილებელი) და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს ცალსახად მიუთითებს, რომ სახელმწიფო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვების მონაწილეობას მათი პრობლემების შესახებ დიალოგსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რაც იმის გარანტია, რომ გეგმის მიზნები და მის ფარგლებში საქმიანობა ბავშვების ყველა კატეგორიის ინტერესებსა და საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

38. სამოქმედო გეგმები ყველა კატეგორიის ბავშვის სამოქალაქო, სოციალური და სხვა უფლებების დაცვაზეა ფოკუსირებული. ისინი გულისხმობს მრავალ სახელმწიფო ღონისძიებას ბავშვთა ყოველმხრივი ფსიქოსოციალური განვითარების ხელშესაწყობად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მიშვილების საკითხს - როგორც ზრუნვის საუკეთესო ფორმას და გარანტიას იმისა, რომ ამ კატეგორიის ბავშვები ოჯახის სტაბილურ და ჰარმონიულ გარემოში აღმოჩნდებიან (21-ე მუხლი).

მაკოორდინირებელი ორგანო

39. "სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 2009 წლის პირველი იანვრიდან ბავშვთა დაცვასა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროა პასუხისმგებელი. ამის მთავარი მიზანი სოციალური სექტორისთვის ერთიანი ადმინისტრაციული სისტემის შექმნა იყო. შედეგად, ბავშვებზე ზრუნვა სოციალური დაცვის ერთიან სისტემაში გაერთიანდა, რამაც უფრო მოქნილი გახადა მისი მენეჯმენტი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სფეროს მომდევნო რეფორმირებაში. ამ სტრუქტურული ცვლილებების ფარგლებში მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს ფუნქციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა. მეურვეობისა და

მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს ფუნქციები კი ამავე სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულებმა (სტრუქტურულმა ქვეგანყოფილებებმა) შეითავსეს.

მონაცემების შეგროვება

40. დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) მე-15 პარაგრაფის შესაბამისად, იგპ-თა დახმარების პოლიტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ იგპ-თა რეგისტრაცია გადაწყვიტა. რეგისტრირების მიზანია იგპ-თა მონაცემთა ბაზის განახლება და აუცილებელი ცვლილებების შეტანა საცხოვრებელი ადგილის, ოჯახის შემადგენლობის, საყოველთაო აღწერის შედეგებისა და სხვათა შესახებ. ეს საშუალებას მისცემს სამინისტროს: (1) იქონიოს ზუსტი ციფრები იგპ-ებთან დაკავშირებით; (2) უკეთ დაგეგმოს სახელმწიფო პროგრამები, —— განსაკუთრებით, იგპ-თა ოჯახების გრძელვადიან განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები; და (3) დაადგინოს ოჯახების რეალური შემადგენლობა (20-წლიანი დევნილობის პერიოდში ოჯახების შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა). იგპ-თა შესახებ ზუსტი ციფრების დადგენის გზით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აპირებს, გააუმჯობესოს დევნილთა დახმარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი და განსაზღვროს მათი განსახლებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების სტრატეგია.

41. ამ მიზნით, 2012 წლის 28 დეკემბრის N170 დადგენილების საფუძველზე სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა იგპ-თა რეგისტრირებისა და მათი საჭიროებების (განსახლების, საარსებო შესაძლებლობების, სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ა.შ.) შეფასების მეთოდები. კომისიის შემადგენლობაში სამთავრობო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ. რეგისტრაციის პროცესი 2013 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო და 2013 წლის 27 დეკემბერს დასრულდა.

ტრენინგი

42. ტრენინგებთან დაკავშირებული ინფორმაციის სანახავად იხ. დანართი III.

IV. ძირითადი პრინციპები

დისკრიმინაციის აკრძალვა

43. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. ამასთან ერთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, კანონსაწინააღმდეგოდ ითვლება ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 142), რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142[5]) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა (მუხლი 142[6]). საქართველოს კანონმდებლობა მტკიცე საფუძველს უქმნის ბავშვის უფლებას, დაცული იყოს დისკრიმინაციისგან.

44. საქართველოში ყველა ბავშვს, განურჩევლად სქესისა, ეთნიკური კუთვნილებისა, თუ სხვა მახასიათებლებისა, აქვს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ბავშვთა დაცვის სერვისებზე. ქვემოთ მოცემული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები ცალსახად კრძალავს დისკრიმინაციას:

1. "ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები" მოიცავს ბავშვთა დისკრიმინაციის შესახებ ინფორმაციას (სტანდარტი N2, "მომსახურების ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა") - მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მომხმარებელი მომსახურებით მისი პირადი საჭიროებების, შესაძლებლობებისა თუ ინტერესების შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის, მიკერძოებული ან უარყოფითი დამოკიდებულებისა თუ ქმედებების გარეშე, რამაც შეიძლება თავი იჩინოს მომსახურებისას, როგორც მომსახურების მიმწოდებლისგან, ასევე, სხვა მომხმარებლისგან ან მესამე პირის მხრიდან; ბ) უზრუნველყოს მომხმარებელი მომსახურებით მისი, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის, ან სხვა რამ ვითარების მიუხედავად.

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგულაციის მიხედვით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2007 წლის 27 ივნისის დამტკიცებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14 (1995).
[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38.1. (1995).

დებულების (N190/ნ) მე-2 მუხლის, მე-4 პარაგრაფის ა) ქვეპუნქტის თანახმად), სააგენტო დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით: ა) დისკრიმინაციის გამორიცხვა პირის სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკისა და პოლიტიკური შეხედულების მიხედვით (ამასთან, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სქესის, ასაკის, ფიზიკური არასრულფასოვნების, ოჯახური ან/და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობენ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად);

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს N40/ნ, N111/ნ და N119/ნ ბრძანებები „ჯანმრთელობის დაცვის 2007, 2008 და 2009 წლების პროგრამების დამტკიცების შესახებ“; და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის დადგენილება „2011 წლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მიუთითებს, რომ სადაზღვევო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანაბრად ხელმისაწვდომი გახადონ დაზღვევა ყველა მომხმარებლისთვის.

4. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი): არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო.

45. 2013 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შესაბამისი საერთაშორისო იურიდიული აქტებისა და სხვა ქვეყნების (მეტწილად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების) კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე წარმოადგინა კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. 2013 წლის ივლისში, სამთავრობო სექტორთან კონსულტაციის შემდეგ, კანონპროექტი გასაცნობად დიპლომატიურ კორპუსს, სამოქალაქო სექტორს (მათ შორის, ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს), რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს წარედგინა. თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR), რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართულმა ევროპულმა კომისიამ (ECRI), გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისმა (OHCHR) და ევროკავშირის დელეგაციის თანადგომით შერჩეულმა შვედმა ექსპერტმა. რეკომენდაციათა უმრავლესობა გათვალისწინებულ იქნა. კანონპროექტი პარლამენტმა 2014 წლის მაისში დაამტკიცა.

46. “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამ კანონის თანახმად, საქართველოში უნდა აიკრძალოს ყველა ფორმის -როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი დისკრიმინაცია. აგრეთვე, უნდა აიკრძალოს მრავალი ნიშნის მიხედვით, ანუ ორი, ან მეტი ნიშნის გამო დისკრიმინაციაც. დისკრიმინაცია იკრძალება, როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში. კანონის შესრულების მონიტორინგი დამოუკიდებელმა ორგანომ - საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა უნდა განახორციელოს.

47. რუსეთის ფედერაციის მიერ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას წაერთვა ქვეყნის ამ ორ ნაწილში ადამიანის უფლებების, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ბევრმა პატივსაცემმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ქართული მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის მრავალრიცხოვანი ფაქტი დააფიქსირა. ქართველი ეროვნების ადამიანებს, მათ შორის ბავშვებს წაერთვათ ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორებიცაა, საკუთრების უფლება, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება და ა.შ. ეთნიკური წმენდის შედეგად, ძირითადად ქართული წარმომავლობის ასობით ათას იძულებით გადაადგილებულ პირს, არ აქვს საკუთარ სახლში დაბრუნების შესაძლებლობა საკუთარი ეთნიკური კუთვნილების გამო. კონფლიქტის ზონებში მცხოვრები ოჯახები კი მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან. მათ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას აიძულებენ. რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევაში ამ ადამიანებს სადამსჯელო ზომები ან რეგიონიდან გამოძევება ემუქრებათ. მოსაზღვრე რაიონების მაცხოვრებლებს თვითნებურად აკავებენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და რუსი სამხედროები.

48. საქართველოს კანონი “ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ” და დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 21-ე პარაგრაფი უზრუნველყოფს, რომ ლტოლვილ ბავშვებს, განათლებისა და ჯანდაცვის მხრივ, ჰქონდეთ იგივე უფლებები, რა უფლებებითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები. “ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ლტოლვილის, ან ჰუმანიტარული

სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, ისარგებლოს განათლების ზუსტად იმავე უფლებით, რა უფლებებითაც სარგებლობენ ქვეყნის სხვა მოქალაქეები.

სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება

49. სიცოცხლის უფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული. ადამიანის სიცოცხლის დაცვას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უზრუნველყოფს. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებად ითვლება და მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს.[7]

50. ავტოსაგზაო და სხვა უბედური შემთხვევების შედეგად 2012 წელს საქართველოში 24 ბავშვი დაიღუპა (14 გოგონა და 10 ბიჭი) 2013 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით კი 27 ბავშვი (8 გოგონა და 19 ბიჭი).

ბავშვთა თვალსაზრისის პატივისცემა

51. ბავშვთა თვალსაზრისის პატივისცემას და ბავშვთა მონაწილეობას საკითხებში, რომლებიც მათ უშუალოდ ეხებათ, ქართული კანონმდებლობა მრავალ სფეროში ითვალისწინებს. ამ მხრივ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ოჯახი და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები. მაგალითად, როგორც უკანასკნელი ზომა, მშობლის უფლების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივის საფუძველზე.[8] ასევე, მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენაც შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ბავშვის ინიციატივის საფუძველზე.[9] პირისთვის მშობლის უფლებების აღდგენისას სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც, თუ მას შეუსრულდა 10 წელი.[10] შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვების გაშვილება მათი ნებართვის გარეშე აკრძალულია.[11] თუ ნაშვილები 10 წლის, ან 10 წელზე მეტისაა, შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ ნაშვილების თანხმობით.[12] 10 წელს მიღწეული ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით[13] და სხვ.

52. მეორე მნიშვნელოვანი სფეროა ბავშვის მოქალაქეობა. მშობლების მიერ მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში 14 წელზე უფროსი ასაკის ბავშვის

[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109.2.(ბ) მუხლი (1999).
[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1206.1 მუხლი (1997).
[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1209.1 მუხლი (1997).
[10] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1209.3 მუხლი (1997).
[11] შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 16.1 მუხლი (2009).
[12] შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 27.4 მუხლი (2009).
[13] შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 31.2 მუხლი (2009).

მოქალაქეობაც შესაბამისად იცვლება. 14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.[14] გარდა ამისა, მოქალაქეობის შეცვლისათვის 14-დან 18 წლამდე ბავშვის თანხმობაა საჭირო ერთ-ერთი მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში; შვილად აყვანისას, როცა მშვილებლები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან; და ა.შ.[15]

V. სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები

დაბადების რეგისტრირება და მოქალაქეობა

53. საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქართველოში დაბადებული ბავშვების რეგისტრირებას თავისი ტერიტორიული სერვის-ცენტრების საშუალებით ახორციელებს. საქართველოს მოქალაქეთა, ან საქართველოში მუდმივად მაცხოვრებელ, მოქალაქეობის არმქონე პირთა საზღვარგარეთ დაბადებულ ბავშვებს კი დიპლომატიური მისიები და საკონსულოები არეგისტრირებენ.

54. დაბადების რეგისტრირების უმოკლეს დროში უზრუნველსაყოფად, 2011 წლის აპრილიდან სამედიცინო დაწესებულებებს მოეთხოვებათ, ელექტრონულად მიაწოდონ ბავშვის დაბადების შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. ბოლო დრომდე უმთავრეს პრობლემას ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ პირადობის მოწმობის არმქონე მოქალაქეთა დიდი რაოდენობა წარმოადგენდა. 2008 წლამდე უსაბუთო ბავშვების დაბადების რეგისტრირებას სასამართლოს თანხმობა ესაჭიროებოდა. 2008 წლის აპრილიდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დოკუმენტების არმქონე პირთა რეგისტრირება და მათთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა დაევალა. სააგენტომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა (UNHCR) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების არმქონე პირთა პრობლემების აღმოსაფხვრელად მრავალი პროექტი განახორციელა („კარდაკარ“ სიარულის ჩათვლით). შედეგად დარეგისტრირდა და დაბადების მოწმობა მიეცა ათასობით ბავშვს. ბავშვის უფლებების კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების 27-ე პარაგრაფის (CRC/C/GEO/CO/3) შესაბამისად, იგპ-თა ბავშვებმა რეგისტრაცია მშობლების, ან კანონიერი წარმომადგენლების წერილობითი განცხადებების საფუძველზე გაიარეს.

[14] საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 16 მუხლი (2009).
[15] საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22[1] მუხლი (2009).

55. 2010 წელს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებები შევიდა. კერძოდ, მე-15 მუხლის თანახმად, ბავშვი, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ დადგინდება საპირისპირო.

56. საგრძნობლად გამარტივდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობებისა და პასპორტების გაცემის პროცედურა. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქე ვალდებულია, მიიღოს პირადობის მოწმობა 14 წლის ასაკის მიღწევიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

57. საქართველოს მოქალაქეებს, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, პირადობის მოწმობების მიღება 14 წლამდეც შეუძლიათ. პირადობის მოწმობის გაცემის ვადა განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადით შემოიფარგლება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ეს პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს არა უმეტეს 10 დღისა.

წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა

58. ბავშვის უფლებების კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების 27-ე პარაგრაფიდან (CRC/C/GEO/CO/3) გამომდინარე, პენიტენციარულ სისტემაში წამების, ან ცუდი მოპყრობის სხვა ფორმების პრევენციის მიზნით გაძლიერდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შიდა მონიტორინგის მექანიზმები:

- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სამმართველოსთან ერთად მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის გენერალური ინსპექციის უფლებამოსილება გაიზარდა, შეიქმნა დამატებითი განყოფილებები და გაიზარდა დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია მჭიდროდ თანამშრომლობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სამმართველოსთან;
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს ახალი დებულებით კიდევ უფრო გაუფართოვდა მანდატი და მკაფიოდ განესაზღვრა ფუნქციები. ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის

სამმართველო იღებს საჩივრებს და განსახილველად გადასცემს მათ შესაბამის უწყებებს. სამმართველოს არა მხოლოდ რეაგირების, არამედ პროფილაქტიკური ფუნქციებიც აკისრია. ხსენებული სამსახური რეგულარულად -ხშირად მოულოდნელადაც -აწარმოებს ქვეყნის ყველა პენიტენციარული დაწესებულების შემოწმებას (2013 წელს 570 მოულოდნელი ვიზიტი განახორციელა) ყოველკვარტალურ ანგარიშებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. ბოლო 12 თვის განმავლობაში სამმართველომ მიიღო 1736 საჩივარი, რომლებიც განსახილველად გადაეგზავნა სათანადო უწყებებს (გენერალურ ინსპექციას, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს, მთავარ პროკურატურასა და ა.შ.);

- 2012 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი რამდენჯერმე შეხვდა საზოგადოების წარმომადგენლებს სასჯელაღსრულების სისტემის გარემონიტორინგის იდეის განხორციელების შესახებ სასაუბროდ. შედეგად გადაწყდა, გაფართოებულიყო „პრევენციის ეროვნული მექანიზმის“ ფუნქცია, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს;
- ამასთან ერთად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო არანაირ დაბრკოლებას არ უქმნის შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა ორგანიზაციებს პენიტენციარული დაწესებულებების მონიტორინგში. სულ ახლახან რამდენიმე ორგანიზაციას (მათ შორისაა -არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ა.შ.) მიეცა პენიტენციარული დაწესებულებების თემატური მონიტორინგის უფლება;
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავარ პროკურატურასთან. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად, წინასწარ პატიმრობაში მყოფთა და პატიმართა მიმართ სავარაუდო ძალადობის ყველა ფაქტს საქართველოს მთავარი პროკურატურა იძიებს.

VI. ოჯახური გარემო და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები

ოჯახური გარემო

59. ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების 34-39-ე პარაგრაფების (CRC/C/GEO/CO/3) შესაბამისად, ანგარიშგების პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ოჯახების დახმარებისა და სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების ალტერნატიული, ოჯახის ტიპის სერვისებით უზრუნველსაყოფად.

60. 2008-2010 წლებში, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით უკვე არსებული რეგულაციების გასაუმჯობესებლად და ახლების დასანერგად საქართველოს კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, მშობლებს კი თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ შვილების მიმართ. კოდექსის 1198 მუხლში (ძალაშია 2008 წლის პირველი მაისიდან) ჩამოთვლილია მშობელთა უფლება-მოვალეობები:

1. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.
2. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება.
3. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა.
4. მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.
5. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება.
6. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

61. შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით.

62. ამ საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, უფლებებისა და მოვალეობების არასათანადოდ შესრულება შეიძლება იქცეს ამ უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის, ან სულაც ჩამორთმევის საფუძვლად. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვს აქვს მშობლების (ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის) მხრიდან სასტიკი მოპყრობისგან დაცვის უფლება. არასრულწლოვნის უფლებებისა და

კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობელთა (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს. გარდა ამისა, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულნი არიან ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

63. ეს პროცესები სოციალური მუშაკების მონაწილეობით იმართება. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები კანონით გათვალისწინებულ, შესაბამის ზომებს მიმართავენ და ინფორმაციის მიღებისთანავე რთავენ საქმეში სოციალურ მუშაკებს. სწორედ სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როცა მშობელთა უფლებები და მოვალეობები სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეა შეჩერებული. ასეთ შემთხვევებში ბავშვის მშობლებისგან განცალკევება და თავშესაფარში მოთავსება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. მშობლებისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში ბავშვს გასაშვილებლის სტატუსი ენიჭება.

მშობლებისგან განცალკევების პრევენცია

64. ბავშვის მოვლაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო) აღიარებს, ბავშვთა ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდის მნიშვნელოვნებას -გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის ინტერესებში არ შედის. დახმარების სერვისები და მატერიალური შეღავათები, მათ შორის, დღის ცენტრები, რეინტეგრაციის შემწეობა, სოციალური სერვისები, კონსულტაციები, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის პროგრამები და სოციალური დახმარებები გამიზნულია ბავშვთა მიტოვების პრევენციისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვზე ბიოლოგიურმა ოჯახმა იზრუნოს.

65. 2007-2013 წლებში ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ღონისძიება დაფინანსდა. ოჯახების მხარდაჭერის, ცხოვრების დონის ამაღლების, ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვადასხვა შესაძლებლობებისა თუ საჭიროების მქონე ოჯახების მიზანმიმართული დახმარებისთვის ქვეყანაში მიზნობრივი პროგრამები ხორციელდება. კონკრეტულად, 2007-2008 წელს განხორციელდა ფულადი სოციალური შემწეობა, რომლის მიზანიც ბავშვთა მიტოვების პრევენცია იყო; 2010 წლიდან კი 0-1,5 წლის ბავშვებზე გაიცემოდა ბავშვის კვების ვაუჩერი, რომელიც მიზნობრივ ჯგუფში

შემავალ ჩვილებს ხელოვნური კვებით უზრუნველყოფდა. გახსნილია თავშესაფრები ორსული ქალებისთვის, სხვადასხვა პრობლემის მქონე დედებისთვის და მათი 10 წლამდე ასაკის შვილებისთვის. მიტოვების, ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის არსებობის შემთხვევაში, ასეთი ბავშვები იღებენ თავშესაფრით 24-საათიან უზრუნველყოფას 1 წლის ვადით. ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის წახალისებისა და ოჯახებში რეინტეგრირების მიზნით, გაიცემა ფინანსური დახმარებები. გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამა გვთავაზობს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა დღის ცენტრების მომსახურება, სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) და ჯანმრთელობის დაზღვევა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრების პროგრამა, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა, და სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა, რომელთა მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფიზიკური რეაბილიტაცია და მათთვის სათანადო უნარების განვითარება მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.

66. ხელისუფლება ყოველწლიურად უზრდის დაფინანსებას ზემოთ ხსენებულ პრიორიტეტულ პროგრამებს. მაგალითად, ყოველწლიური ფაქტობრივი ხარჯები ასე გამოიყურება:

- 2007 წელს 10,179,800 ლარი;
- 2008 წელს 11,579,800 ლარი;
- 2009 წელს 16,445,800 ლარი;
- 2010 წელს 14,796,208 ლარი (შემცირება მოხდა იმის გამო, რომ სკოლა-ინტერნატთა საგანმანათლებლო სერვისების/კომპონენტების დაფინანსება (2,423,000 ლარი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეცა)
- 2011 წელს 11,732,158 ლარი;
- 2012 წელს 16,688,331 ლარი;
- 2013 წელს 14,703,086 ლარი;

ზრუნვის ალტერნატიული ფორმები

67. საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს ვითარებებს, რომლებშიც აღმოჩენილ ბავშვს მზრუნველობამოკლებულის სტატუსი ეძლევა. მზრუნველობამოკლებულად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი -

ა) თუკი მისი მშობლები სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

ბ) თუკი ის არის ობოლი;

გ) თუკი მის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (შეეზღუდა ან შეუჩერდა) მშობლის უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად;

დ) თუკი ის აღიარებულია მიტოვებულად;

ე) თუკი, რაიმე მიზეზის გამო, მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/აღმზრდელთან დარჩენა მისთვის სახიფათოა;

68. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი განცალკევებულია ბიოლოგიური მშობლებისგან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო განიხილავს მისი განთავსების ალტერნატივებს, რათა ბავშვი ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში დარჩეს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (სოციალური მუშაკის შეფასებასა და დასკვნაზე დაყრდნობით) გადაწყვეტილებით, ვითარებიდან გამომდინარე, მზრუნველობამოკლებულ ბავშვს -

1. ენიჭება გასაშვილებლის სტატუსი და მის მიმართ ხორციელდება გაშვილების შესაბამისი იურიდიული პროცედურები;
2. ექცევა მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ და ენიშნება მეურვე/მზრუნველი;
3. ენიშნება მომსახურება (მშვილებელი ოჯახი/მინდობით აღზრდა, მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლში ტიპის სახლი, ობოლთა თავშესაფარი), სადაც მაქსიმალურად იქნება დაცული მისი ინტერესები. მისთვის ხელმისაწვდომია ქვეყანაში არსებული მზრუნველობის ყველა სერვისი.

69. 2005 წელს შეიქმნა ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია,[16] რომელსაც 2005-2007[17] წლებისა და 2008-2011[18] წლების სათანადო სამოქმედო გეგმების ეფექტიანად განხორციელება დაევალა. ეს სამოქმედო გეგმები ქმნიდნენ ძირითად ჩარჩოს სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფი ბავშვების მიტოვების პრევენციასთან, მათზე ზრუნვის ალტერნატიულ სერვისებთან და რეინტეგრაციასთან დაკავშირებული საპილოტო პროგრამების დასანერგად. შესაბამისი კომისია 2010 წლის თებერვალში, მთავრობის N40 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა.

---

[16] "ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის მექანიზმების შექმნის, ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის და ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 აპრილის N75 დადგენილება.

[17] "ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო სამოქმედო გეგმის, ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის და ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 აპრილის N75 დადგენილება.

[18] საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 დეკემბრის დადგენილება „ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ".

70. ბავშვებზე ზრუნვის სისტემის ტრანსფორმირება კვლავაც უაღრესად პრიორიტეტულ საკითხად რჩება ხელისუფლებისთვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის #373 დადგენილება „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების განვითარების მხარდაჭერის შესახებ“).

71. სამოქმედო გეგმა დიდი საცხოვრებელი ინსტიტუციების პატარა, მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლებით ეტაპობრივ ჩანაცვლებას გულისხმობდა. 2010 წელს მთავრობამ დააარსა და სამართავად გადასცა არასამთავრობო ორგანიზაციებს 17 მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლი. სოციალური მუშაკების მიერ 2010 წელს ჩატარებულმა შეფასებამ დაადგინა, რომ დიდ მზრუნველობით დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების 30-35% შეიძლება ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდეს, 8% კი შეიძლება გაშვილდეს. 2010-2012 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური დახმარებით კიდევ დაარსდა მცირე ზომის საოჯახო ტიპის რამდენიმე სახლი. ამ დაწესებულებებში სამუშაოდ შერჩეულმა პერსონალმა სრულიად ახალი სახის ტრენინგი გაიარა ინდივიდუალური ზრუნვის სფეროში -მათ შორის, ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენასა და სხვა საჭიროებების განსაზღვრაში. ასეთი შეფასების საფუძველზე სერვისი თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით ადგენს ინდივიდუალურ გეგმას და მიღწეულ შედეგებს ხარისხიანი მოვლის ინდიკატორებით ამოწმებს.

72. 2011 წლიდან პროექტმა სახელწოდებით “ჩემი მეგობარი”, სახელმწიფოსა და ბიზნესის წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, საშუალება მისცა მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებს, მიეღოთ პროფესიული განათლება და დასაქმებულიყვნენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროფესიული განათლების პროექტს, რომლის წყალობითაც სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები პროფესიული უნარების შეძენისა და დახვეწის საშუალებას იღებენ.

73. 2013 წლის 18 ივნისს საქართველოსა და აზერბაიჯანულ ნავთობკომპანია “სოკარს” (SOCAR) შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც, 2013 წლის პირველი ივლისიდან, 2014 წლის პირველ ივლისამდე, “სოკარის” მხრიდან 44 მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლის კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის) სრულად დაფარვას გულისხმობდა.

74. 2009 წლის 26 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N281/ნ ბრძანებით დამტკიცდა “ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები”. ამ დოკუმენტზე მუშაობა 2005 წელს დაიწყო და მის შექმნაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები სხვადასხვა სახელმწიფო

თუ არასამთავრობო ორგანიზაციიდან. სტანდარტების პირველი ვერსია 2007 წელს დამტკიცდა და ბავშვზე ზრუნვის სერვისებისთვის (საცხოვრებელი დაწესებულებებისთვის და დღის ცენტრებისთვის) სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა. სტანდარტებს ცდიდა ტექნიკური სამდივნო ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის სახელით და ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მხარდამჭერი პროექტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობით. ტესტირების მიზანი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ სტანდარტების საბოლოო ვერსია მისაღები და რეალისტური იქნებოდა სერვისების მიმწოდებლებისთვის. საპილოტო ვერსიის შემოწმების შემდეგ, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა N01-59/ნ ბრძანებით, 2012 წლის 30 აგვისტოს დაამტკიცა ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, რომლებიც სავალდებულო გახდა სახელმწიფო პროგრამით რეგისტრირებული ბავშვზე ზრუნვის ყველა დაწესებულებისთვის (მიუხედავად მისი ორგანიზაციული, იურიდიული, თუ ქონებრივი სტატუსისა) და უნარშეუზღუდავი ბავშვებისთვის განკუთვნილი ყველა დღის ცენტრისთვის.

75. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მოვლის სტანდარტები საქართველის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2011 წლის 8 აპრილს, N01-13/ნ ბრძანებით დაამტკიცა. მათი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი სერვისების ხარისხის ინდიკატორების დადგენაა. სტანდარტების ჩამოყალიბება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობით მოხდა. მუშაობის პროცესში ჩართული იყვნენ დღის ცენტრების წარმომადგენლები, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი და ტექნიკური ექსპერტები.

76. სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების, ან დაწესებულებიდან გამოყვანის ვადები და პირობები განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით, რომელიც ზუსტად ადგენს პიროვნების ინსტიტუციაში (ობოლთა თავშესაფარში, დედათა და შვილთა თავშესაფარში, მოხუცთა პანსიონში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონში, სათემო ორგანიზაციასა თუ დღის ცენტრში) გამწესების პროცედურებსა და წესებს.

77. პიროვნების სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) პირობები საქართველოს მთავრობის 2010 წლის N22 დადგენილებითაა განსაზღვრული. დადგენილება მიუთითებს დაფინანსების (თანადაფინანსების) წესებს პიროვნების განთავსებისას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ობოლთა თავშესაფარში, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, მოხუცთა პანსიონში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონში, სათემო ორგანიზაციასა თუ დღის ცენტრში.

78. როგორც ამ მიზნის მნიშვნელოვანი ელემენტი, სოციალური მუშაკებისა და პარტნიორი ორგანიზაცია "ევრიჩაილდის" (Every Child) ხელშეწყობით გაიმართა მშვილებელი ოჯახების წამახალისებელი კამპანია. გარდა ამისა, მშვილებელი ოჯახების სტიმულირებისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფომ გაზარდა ამ სექტორის დაფინანსება. N145 დადგენილების 104 მუხლით, საქართველოს ხელისუფლებამ არანათესავი ბავშვის შვილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურება 75%-ით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შვილად აყვანის ანაზღაურება კი 100%-ით გაზარდა.

79. ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის სერვისები (მშვილებელი ოჯახები/მინდობით აღზრდა, მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლები, დღის ცენტრები) სწრაფად განვითარდა 2007-2013 წლების რეფორმის შედეგად, რასაც ბავშვთა დეინსტიტუციონალიზების მკვეთრი ზრდა და საცხოვრებელ ინსტიტუციებში მყოფ ბავშვთა მნიშვნელოვანი შემცირება მოჰყვა.

80. 2011 წელს მორატორიუმი გამოცხადდა 10 დიდი ზომის ბავშვთა სახლზე და ერთი წლის განმავლობაში 10 მათგანი დაიხურა. 2012 წელს 5 ბავშვთა სახლი დაიხურა, 2013 წელს კი შეფასდა 5 დიდი საცხოვრებელი დაწესებულება და აქედან 2 ინსტიტუცია (ბავშვთა სახლი) დაიკეტა. ამჟამად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის 3 დიდი სამზრუნველო დაწესებულება ფუნქციონირებს. გრძელდება ოჯახებთან მუშაობა, მზრუნველობის ალტერნატიული ფორმის შესარჩევად, ამ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით.

81. რეფორმის განხორციელებაში სახელმწიფოს მთავარი პარტნიორები არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), უცხო ქვეყნების საელჩოები საქართველოში, ბრიტანული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ევრიჩაილდი", საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი", ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", ასოციაცია "SOS ბავშვთა სოფელი", ასოციაცია "ჩვენი სახლი საქართველო", ორგანიზაცია World Vision საქართველო", საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი "ბრეს საქართველო" (Bრეატჰ Gეორგია) და სხვა პარტნიორი ორგანიზაციები.

განთავსების პერიოდული შემოწმება

82. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1284 მუხლის თანახმად, მზრუნველის, ან მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დღსედღეობით მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობის წესები და პირობები მკაფიოდაა განსაზღვრული. ამ წესების თანახმად, მეურვეობისა და

მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი სოციალური მუშაკი სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც ახორციელებს მეურვის გეგმურ შემოწმებას, ხოლო დამატებითი შემოწმებები ხორციელდება პერიოდულად, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული წესის თანახმად, მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობის დაწყებამდე, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ამტკიცებს გეგმას, რომელშიც ასახულია ზედამხედველობის პირობები, განრიგი და უფლებამოსილება.

83. ანგარიშგების პერიოდში დაიხვეწა მზრუნველისა და მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობის წესები და ჩამოყალიბდა ზედამხედველობის რელევანტური ფორმა. დაიხვეწა და გამოიცადა შეფასების ახალი ფორმები სოციალური მუშაკებისთვის, შემუშავდა სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის წესები, აგრეთვე, დაიხვეწა ოჯახური კონფლიქტის შეფასებისა და აღწერის ფორმები და ჩამოყალიბდა რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესები და პირობები.

84. 2013 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა პროგრამის მონიტორინგის სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვზე ზრუნვის სერვისების მონიტორინგს, და ადგენს ბავშვის უფლებების რეალიზების კუთხით მათი საქმიანობის ხარისხის ინდიკატორებს.

შვილად აყვანა

85. 2009 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი "შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ". კანონის მიზანია უზრუნველყოს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სისტემის გამართულად ფუნქციონირება, ხელი შეუწყოს ბავშვის (განსაკუთრებით ადრეულ ასაკში) ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელებას და მთელი ქვეყნის მასშტაბით დააჩქაროს ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. ახალი საკანონმდებლო ნორმები საგრძნობლად ამარტივებს ბავშვებისთვის მზრუნველობამოკლებულის სტატუსის მინიჭების პროცედურას მათი შემდგომი გაშვილების, ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემის მიზნით, რათა ხელი შეეწყოს ბავშვთა აღზრდასა და განვითარებას ოჯახის პირობებთან შეძლებისდაგვარად მიახლოებულ გარემოში. გარდა ამისა, ახალი ნორმატიული აქტები მიზნად ისახავს, გამჭვირვალე გახადოს სისტემა და წინ აღუდგეს კორუფციას შვილად აყვანის სფეროში. კანონმა გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამდგენი კომისია ჩაანაცვლა საერთაშორისო გაშვილების საკითხებში კომპეტენტური კომისიით და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის შვილად ასაყვანი ბავშვების შეთავაზების ვადა 18 თვიდან 8 თვემდე შეამცირა. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონში 2011 და 2012 წლებში შესული ცვლილებებით დარეგულირდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა შვილად აყვანის

თანმიმდევრობა, ბავშვზე უარის თქმის შემთხვევების ამოცნობა, 10 წლის ან 10 წელზე დიდი ასაკის ბავშვების გაშვილებასთან დაკავშირებული საკითხები და მინდობით აღზრდას დაქვემდებარებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები. წინა საკანონმდებლო ნორმებთან შედარებით, ახალი კანონი ბევრად უფრო მოქნილია მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის გასაშვილებლის სტატუსის მინიჭების თვალსაზრისით.

86. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1239 მუხლის თანახმად: "შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის". დებულება ეხება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საერთაშორისო გაშვილებას. ამგვარად, ქვეყნის ფარგლებში გაშვილებისას, შვილად აყვანილ ბავშვს აქვს იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც ოჯახის ბიოლოგიურ შვილს. ამჟამად არსებული კანონმდებლობის მიხედვით, სოციალური მუშაკი, რომელიც სრულად აფასებს ბავშვსა და მშვილებელ მშობელს, თავადაცაა ჩართული შვილად აყვანის პროცესში. ის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული თუ პირადი ფაქტორების გათვალისწინებით ამოწმებს მშვილებელისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობას და აფასებს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნის ალბათობას (მუხლი 21). კანონმდებლობაში შესაბამისი ვცლილებების პარალელურად, მიმდინარეობდა შვილად აყვანის პროცესში ჩართულ პირთა (სოციალურ მუშაკთა, იურისტთა) სხვადასხვა სახის ტრენინგების გზით ინფორმირება და მომზადება.

87. შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს. გარდა ამისა, ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, ბავშვის თანხმობის გარეშე გაშვილება აკრძალულია. შესაბამისად, მოზარდის შვილად აყვანის საკითხის განხილვისას, სათანადო ორგანოები მხედველობაში იღებენ ბავშვის აზრს გაშვილების ფაქტისა და მშვილებელი პირის შესახებ.

88. საერთაშორისო გაშვილებისას, პროცესს, იმავე საინფორმაციო მოთხოვნებზე დაყრდნობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მართავს. ცენტრალურმა ორგანომ უნდა გამოითხოვოს გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მშვილებელი ქვეყნის ცენტრალური ორგანოსგან (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში კი - გასაშვილებელ ქვეყანაში ლიცენზირებული ან/და აკრედიტებული შესაბამისი უფლებამოსილების ორგანიზაციისგან) ყოველწლიურად, სანამ გაშვილებულ ბავშვს არ შეუსრულდება 18 წელი.

89. საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესების მიზნით, 2012 წელს სამუშაო ჯგუფმა, შვილად აყვანასთან დაკავშირებით, შეიმუშავა ახალი კანონპროექტი,

რომელიც ამჟამად იურიდიულ ექსპერტიზას გადის და პარლამენტს განსახილველად 2014 წლის ბოლოსთვის წარედგინება.

ბავშვთა უკანონო გაყვანა საზღვარგარეთ და არდაბრუნება

90. 1997 წელს საქართველომ მოახდინა "ბავშვის მოტაცებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ასპექტების შესახებ" ჰააგის კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") რატიფიცირება. კონვენციის შესრულების მაკოორდინირებელი ცენტრალური ორგანოს ფუნქციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი ასრულებს. შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური ორგანო თანამშრომლობს კონვენციის ხელმომწერი სხვა ქვეყნების ცენტრალურ ორგანოებთან ქვეყნიდან უკანონოდ გაყვანილი ბავშვების სწრაფად დასაბრუნებლად და ახორციელებს ყველა სათანადო იურიდიულ, თუ ადმინისტრაციულ ღონისძიებას. გარდა ამისა, საქართველოს ცენტრალური ორგანო მიმართავს ყველა სათანადო ზომას პრობლემის მორიგებით გადასაჭრელად და საქმის კურსში აყენებს სხვა ცენტრალურ ორგანოებს კონვენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. ცენტრალური ორგანო არ გამოდის სასამართლოში, როგორც მხარე. სადავო საკითხების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტის მიზნით, საქმის კომპეტენტურ სასამართლოში გადაგზავნამდე, ცენტრალური ორგანო აქტიურად შუამავლობს მხარეებს შორის. მაგალითად, ცენტრალური ორგანო უკავშირდება გამტაცებელ მშობელს და სთავაზობს შუამავლობას.

91. თუკი გამტაცებელი მშობელი თანხმდება შეხვედრაზე, ცენტრალური ორგანო აცნობებს მას ვითარებას და მოსალოდნელ შედეგებს და განუმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ პროცედურას. გარდა ამისა, ხსენებულ ვითარებაში, საქართველოს ცენტრალური ორგანო დეტალურ ინფორმაციას აწვდის გადადგმული ნაბიჯების შესახებ სხვა დაინტერესებულ ცენტრალურ ორგანოებს. როცა გამტაცებელი მშობელი შეხვედრასა და შუამავლობაზე თანხმდება, ცენტრალური ორგანო სხვა ცენტრალურ ორგანოებთან ურთიერთობისთვის ოფიციალურ მიმოწერასთან ერთად ელექტრონულ ფოსტასა და სატელეფონო კავშირსაც იყენებს.

92. კონვენციის გარდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ქართულად თარგმნა და, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დახმარებით, მოქმედ მოსამართლეებს შორის გაავრცელა კონვენციის განმარტებითი მოხსენება. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა კონვენციის, მისი მოთხოვნების და უცხო ქვეყნების იურიდიული პრაქტიკისა თუ გამოცდილების შესახებ საერთო ცოდნის გავრცელებას. ცენტრალური ორგანოს ძალისხმევით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია ქართული სასამართლო პრეცედენტების შესახებ (ბავშვებისა და მათი მშობლების პირადი მონაცემების სრული დაცვით). გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ,

კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე მოამზადა განცხადების ბლანკები, რომლებიც საყოველთაოდაა ხელმისაწვდომი იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

93. ცენტრალური ორგანო ამჟამად მუშაობს ბავშვის მოტაცების საკითხებთან დაკავშირებულ, მოსამართლეებისა და იურისტებისთვის განკუთვნილ დეტალურ გაიდლაინებზე, რომლებიც ეხება, როგორც სასამართლო პრეცედენტების, ასევე პრაქტიკული ასპექტების კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობას. სახელმძღვანელოს პროექტი შეიცავს განმარტებითი მოხსენებებიდან, პრაქტიკული ინსტრუქციებიდან, საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოებიდან, მოსამართლეთა საინფორმაციო ბიულეტენებიდან და სხვადასხვა საერთაშორისო თუ ნაციონალური სასამართლოს პრეცედენტებიდან მოკრებილ ინფორმაციას ჰააგის კონვენციის იურიდიული ასპექტების ინტერპრეტირებასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც, კონვენციის თანახმად, რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი, მოიცავს კონვენციის მიზნებისა და მისწრაფებების ფორმულირებას, მათი ინტერპრეტირების პრაქტიკას, აგრეთვე, უკანონო გადაყვანისა და დაკავების ინტერპრეტაციას; და სახელმწიფოს მიერ მე-13 მუხლის, როგორც ბავშვისთვის ჩვეულ საცხოვრებელ გარემოში დაბრუნების აკრძალვის უკიდურესი ზომის გამოყენების პრაქტიკას. ბავშვის დაბრუნების აკრძალვის იურიდიული საფუძველი შეიძლება გახდეს ბავშვის მტკიცე უარი, მისი ასაკიდან და მოწიფულობიდან გამომდინარე; ან დაბრუნების შემთხვევაში ბავშვისთის სერიოზული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების რისკის არსებობა, ანდა ბავშვთან დაკავშირებული სხვა სოციალური ასპექტის არსებობა. თითოეულ ამ კრიტერიუმს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებას უკეთებენ ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლოები, რაც, უსათუოდ უნდა იქნეს მითითებული სახელმძღვანელო პრინციპებში, მოსამართლეთა და ადვოკატთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სანამ ეს უკანასკნელები საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებენ. გარდა ამისა, სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს ინფორმაციას გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების შესახებ, რომ დავა მორიგებით გადაწდეს. ამ დირექტივების მიზანია, გაზარდოს მოსამართლეთა და ადვოკატთა ინფორმირებულობა კონვენციისა და მისი იურიდიული ასპექტების სწორად ინტერპრეტირების კუთხით და გააცნოს მათ საერთაშორისო პრაქტიკა, რომ მათი გადაწყვეტილებები უფრო მეტად შეესატყვისებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

94. ცენტრალურმა ორგანომ კონვენციის ეფექტიანად განხორციელების მიზნით მოამზადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები. პროცედურული თვალსაზრისით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი თავი უკანონოდ გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნების, ან წვდომის უფლების განხორციელების განსაკუთრებულ ასპექტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა,

ცენტრალურმა ორგანომ შეიმუშავა “მიმართვიანობის (რეფერირების) ახალი მექანიზმის” პროექტი გატაცების შემთხვევებზე ზემოქმედების პროცედურებთან დაკავშირებით, რომელიც მალე უნდა დამტკიცდეს და ამჟამად შესწავლისა და განხილვის სტადიაშია.

სასტიკი მოპყრობა და უგულებელყოფა

95. დასკვნითი შენიშვნების მე-40 და 41-ე პარაგრაფების (CRC/C/GEO/CO/3) შესაბამისად, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2007-2008, 2009-2010 და 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმები მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის, 2009 წლის 23 აპრილის და 2011 წლის 27 აპრილის დადგენილებებით დამტკიცდა. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოს პრეზიდენტმა 2013 წლის 17 ივლისის N17/07/01 განკარგულებით დაამტკიცა. სამოქმედო გეგმები სამ ძირითად მიზანს ემსახურება: ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმებისა თუ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას; ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემათა გააზრების ხელშეწყობას.

96. 2008 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის N625 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა “ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭო”. საბჭოს მიზნებია: ოჯახში ძალადობის პრობლემებზე მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციათა ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა; ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის ლიკვიდაციის გეგმების შედგენა; საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო, თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად პრობლემაზე მუშაობა და საქართველოს პრეზიდენტისთვის წარსადგენი ერთობლივი გეგმების შემუშავება; ოჯახში ძალადობის პრევენციის მონიტორინგი.

97. უწყებათაშორისი საბჭოს ინიციატივის საფუძველზე, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა ნორვეგიის მთავრობის, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), შვედეთის მთავრობისა და გაეროს ქალთა ფონდის (UNIFEM) ფინანსური მხარდაჭერით მოამზადა “ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში”. ანგარიში ასკვნის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა/ორგანოებმა დიდი წვლილი შეიტანეს და ბევრი პოზიტიური, კოორდინირებული ქმედება განახორციელეს კანონისა და შესაბამისი სამოქმედო

გეგმის ასამუშავებლად და საიმისოდ, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელებულიყო. კერძოდ, 2009 წელს სხვადასხვა უწყების მონაწილეობით შეიქმნა და ამოქმედდა მიმართვიანობის (რეფერირების) ეროვნული მექანიზმი. ამ პროცესში, 2008 წლის დეკემბერში შეიქმნა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც ახორციელებს ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის დახვეწასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების კოორდინირებას და უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყების თანამშრომლობას კანონისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში - ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასთან და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს დასანერგად განხორციელებული ქმედებების შედეგად - შეიქმნა მიმართვიანობის (რეფერირების) ეროვნული მექანიზმი და კანონში შევიდა ცვლილებები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის განხორციელდა მრავალი ტრენინგი სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების მიზნით ამუშავდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორი თავშესაფარი და ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა ცხელი ხაზი. ძალადობის პრევენციის მიზნით შეიქმნა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია, გაიმართა საინფორმაციო კამპანია ფართო საზოგადოების გათვითცნობიერებისა და უკეთ ინფორმირების მიზნით.

98. 2009 წელს საქართველოს პარლამენტმა ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად ცვლილებები შეიტანა რამდენიმე საკანონმდებლო აქტში, კერძოდ - "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონში, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კანონში შეიარაღების შესახებ, შრომის კოდექსსა და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში.

99. შედეგად, უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდა ოჯახში ძალადობაზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი პროცედურები. ცვლილებებმა განსაკუთრებით გააძლიერა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვისა და მოძალადე მშობლებისგან მათი განცალკევების მექანიზმები. კანონის თანახმად, დამცავი ორდერის გაცემისას, სასამართლო, ბავშვისა და მოძალადე მშობლის ურთიერთობასაც იღებს მხედველობაში. ფიზიკური ძალადობის კვალის არსებობა ბავშვის მოძალადე მშობლისგან განცალკევების მიზეზად უნდა იქცეს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო ახორციელებს დაცვის დროებით ღონისძიებას უფლებამოსილი პირის მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში.

100. კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ბავშვს (არასრულწლოვანს) 14 წლის ასაკიდან შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. როდესაც სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენლს (ადვოკატს) და იწყებს საქმის განხილვას, მოსარჩელეს (ბავშვს/არასულწლოვანს) შეუძლია, უარი თქვას საპროცესო წარმომადგენელზე და თვითონ დაიცვას თავი. ასეთი საქმეების განხილვაში სასამართლომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები უნდა ჩართოს. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობის რაიმე ფორმის არსებობისას პირის მიერ სასამართლოსთვის დამცავი ორდერის მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო განიხილავს ბავშვთან მოძალადე მშობლის/მშობლების ურთიერთობის საკითხს. თუკი არასრულწლოვანს ძალადობის კვალი აღენიშნება, სასამართლომ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეიძლება დროებითი ზომის სახით დააწესოს ბავშვის მოძალადე მშობლისგან/მშობლებისგან განცალკევება. არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისთვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა ბავშვის ინტერესებისათვის. დაუშვებელია მშობლებისთვის ბავშვის ერთობლივი მეურვეობის უფლების დატოვება, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.

101. კანონის თანახმად, მოძალადე მშობელს ბავშვის მონახულების უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ბავშვის მონახულების ადგილს, დროს, პერიოდულობას, ხანგრძლივობას და პირს, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე. თუ ბავშვის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის, იზღუდება მოძალადე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლება. თუ აღნიშნული შეზღუდვა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მშობელს, რომლის უფლებაც იზღუდება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს ბავშვის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით. მოძალადის მიერ ბავშვის მოტაცების ან სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხის არსებობისას, სასამართლო გადაწყვეტილებით, მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს მისი მონახულების უფლება გარემოების შეცვლამდე.

102. 2011 წელს აქტიური სამუშაო ჩატარდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზების კუთხით, რაც 2012 წელს ამ დანაშაულის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანით დასრულდა. სისხლის სამართლის კოდექსის ახალი, 1261 მუხლი ოჯახურ ძალადობად განსაზღვრავს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის იძულებას, მუდმივ შეურაცხყოფას, შანტაჟსა თუ დამცირებას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური, ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება), ან 120-ე (ჯანმრთელობის

განზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლით გათვალისწინებული შედეგი. სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის თანახმად, ოჯახის წევრები არიან: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე; სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მეორე პარაგრაფი ოჯახში ძალადობის დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებს. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ახალი, 111 მუხლი გვთავაზობს ოჯახური დანაშაულების კლასიფიკაციას, რომელიც მოიცავს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ჩადენილ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ 30-მდე ტიპის დანაშაულს.

103. 2013 წელს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს ეგიდით მომუშავე სამუშაო ჯგუფმა დაასრულა ოჯახში ძალადობის შესახებ სამართლებრივ აქტებში შესატანი ცვლილებების პაკეტზე მუშაობა, რომლებიც მიზნად ისახავდა ქართული კანონმდებლობის "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის" ევროსაბჭოს კონვენციასთან (სტამბოლის კონვენცია) შესაბამისობაში მოყვანას. პაკეტმა მოიცვა რამდენიმე სამართლებრივ აქტში შესატანი ცვლილებები. ეს აქტებია: საქართველოს კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონი "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ"; საქართველოს კანონი "ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ"; საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი; საქართველოს კანონი "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ"; საქართველოს კანონი "საექიმო საქმიანობის შესახებ"; და საქართველოს კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ";

104. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანების (N152/ნ-N496–N45/ნ) საფუძველზე დანერგილი მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები მიზნად ისახავს დაცვის მიმართვიანობის კოორდინირებული სისტემის მეშვეობით ბავშვთა ნებისმიერი სახის ძალადობისგან დაცვას -როგორც ოჯახებში, ასევე ოჯახებს გარეთ. პროცედურები განსაზღვრავს ამ სამ სამინისტროს შორის კოორდინირებული მუშაობის წესს, ძალადობაზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ბავშვებზე ზედამხედველობის წესს, კომპეტენტური ორგანოების უფლება-მოვალეობებსა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. განსაზღვრულია კომპეტენტური ორგანოების უფლებები და მოვალეობები ბავშვის

მიმართ სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში და შექმნილია რეაგირების მექანიზმები. პროცესში ჩართულია შემდეგი უწყებები: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები - მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი უწყებები; სკოლები; ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები (ბავშვთა სახლები, დღის ცენტრები); სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები.

105. ზემოთ ხსენებული ნორმატიული აქტის თანახმად, ბავშვებთან შეხების მქონე ყველა ორგანიზაცია - იქნება ეს, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები, სოფლის ექიმები, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები, სოციალური მომსახურების სააგენტო, საუბნო სამსახურები თუ საპატრულო პოლიცია, ვალდებულია, დაუყოვნებლივ გააკეთოს შეტყობინება ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტების თაობაზე. ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის საგანგებო შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება საპატრულო პოლიციის ცხელი ხაზის (24 საათის განმავლობაში), სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბაზაზე მომუშავე ცხელი ხაზისა (24 საათის განმავლობაში) და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზის მეშვეობით - რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ შეტყობინება სწორი მისამართით გაიგზავნება. ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში - სატელეფონო შეტყობინების მიღებისთანავე, ვითარებას აფასებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი (სოციალური მუშაკი) და ადგენს შესაბამის დასკვნებსა თუ რეკომენდაციებს.

106. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ისეთი ეფექტიანი მექანიზმები, როგორებიცაა შემაკავებელი ორდერი (რომელსაც იძლევა პოლიცია) და სასამართლოს დამცავი ორდერი, უკვე მოქმედებს და სულ უფრო აქტიურად გამოიყენება. 2011 წელს 258 შემაკავებელი (2009 წლის 121 და 2010 წლის 182 ორდერისგან განსხვავებით) და 52 დამცავი (2009 წლის 30 და 2010 წლის 44 ორდერისგან განსხვავებით) ორდერი გაიცა. 2012 წელს კი პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერების რიცხვმა 307-ს მიაღწია.

107. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს შესაბამის ორგანოებს, უწყებათაშორისი საბჭოს დაქვემდებარებაში მომუშავე ე.წ. მსხვერპლთა იდენტიფიცირების ჯგუფსაც შეუძლია. ამ ჯგუფმა 94 პირს უკვე განუსაზღვრა მსხვერპლის სტატუსი.

108. გამართულად ფუნქციონირებდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზები. 2011 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით მომუშავე 24-საათიან ცხელ ხაზზე 1008 სატელეფონო ზარი შევიდა (2012 წელს 604 ზარი, 2013

წელს კი - 776). გარდა ამისა, მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზებიც.

109. ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი - იმის მიუხედავად, თავშესაფარში ცხოვრობენ ისინი თუ, არა, უზრუნველყოფილნი არიან ფსიქოლოგიური, იურიდიული და სამედიცინო დახმარებით. ისინი იღებენ იურიდიულ რჩევებს, როგორც სამთავრობო უწყებებისგან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და აქვთ უფასო სამედიცინო მომსახურება, რის ხარჯებსაც სახელმწიფო ფარავს. თავშესაფრებში ისინი შვილებთან ერთად არიან მოთავსებული.

110. 2011 წელს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრების ეფექტიანი ფუნქციონირების უნიფიცირებული სტანდარტის დასანერგად, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში "სახელმწიფო ფონდი") დირექტორის N07-2/0 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სახელმწიფო ფონდის - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრის სტრუქტურული ქვედანაყოფის შიდა რეგულაციები.

111. თავშესაფრები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მუშაობდა. საქართველოში არ არის მხოლოდ მსხვერპლი ბავშვებისთვის განკუთვნილი თავშესაფრები, თუმცა ბავშვთა საჭიროებები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილ ყველა (სამივე) ასეთ დაწესებულებაშია გათვალისწინებული. თავშესაფრები ოჯახში ძალადობის თითოეულ მსხვერპლს შემდეგ სერვისებს სთავაზობს (უფასოდ):

- დაცულ საცხოვრებელს ნორმალური საცხოვრებელი პირობებით;
- საკვებსა და ტანსაცმელს;
- სამედიცინო დახმარებას;
- ფსიქოლოგიურ კონსულტაციას;
- იურიდიულ დახმარებასა და წარმომადგენლობას სასამართლოში;
- რელევანტური ინფორმაციის მიწოდებას; საჭიროების შემთხვევაში ადვოკატით უზრუნველყოფას;
- მოკლე- თუ გრძელვადიან სარეაბილიტაციო და სარეინტეგრაციო პროგრამებში ჩართვას;

112. 2011 წლიდან თბილისსა და გორში მომუშავე სახელმწიფო თავშესაფრების ხარჯებს (პერსონალის ხელფასის, ოპერაციული ხარჯებისა და დაწესებულებებში მცხოვრებ მსხვერპლთათვის გაწეული ხარჯების ჩათვლით) სახელმწიფო ფონდი ფარავდა. 2013 წელს ქუთაისში გაიხსნა ახალი თავშესაფარი, რომელიც ამჟამად გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პროექტის ფარგლებში მუშაობს. მომავალ წელს ერთი თავშესაფრის გახსნა კახეთის რეგიონშიც იგეგმება.

113. თბილისის თავშესაფარში 2011 წელს 84 (აქედან 53 არასრულწლოვანი), 2012 წელს - 55 (33 არასრულწლოვანი); 2013 წლის ოქტომბრამდე კი 87 (53 არასრულწოვანი) ბენეფიციარი ირიცხებოდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრებს არასამთავრობო ორგანიზაციებიც ("ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი" და ქალთა საკონსულტაციო ცენტრი - "სახლი") ამუშავებენ.

114. საქართველოში ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულმა საინფორმაციო კამპანიამ მრავალი ინიციატივა, ღონისძიება, ტრენინგი, შეხვედრა და საინფორმაციო მასალა მოიცვა.

115. 2011 წელს ოჯახში ძალადობის საკითხებს მრავალი ტელეარხი, რადიოსადგური და ჟურნალი თუ გაზეთი შეეხო. ქართულ სატელევიზიო არხებზე საგანგებოდ შექმნილი სარეკლამო რგოლები გადიოდა. 2012 წელს სახელმწიფო ფონდმა დაბეჭდა საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდა. 2013 წლიდან თბილისში 6, სამეგრელოსა და კახეთში კი ორ-ორი ბილბორდი დამონტაჟდა, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის რეკლამას შეიცავდა.

116. ინტელიგენციის წარმომადგენლები და ცნობილი მწერლები საინფორმაციო საშუალებებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელ ხაზსა და ძალადობის მიმართ ნულოვან ტოლერანტობაზე საუბრობდნენ. თბილისში, თელავსა და ზუგდიდში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა 3 შეხვედრა. გარდა ამისა, ცნობილი პიროვნებები კეთილი ნების საფუძველზე გამოდიოდნენ სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე ოჯახში ძალადობის პრობლემაზე სასაუბროდ.

117. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეტრთან ერთად ჩაატარა ოჯახში ძალადობის თემაზე შექმნილი დრამატული ნაწარმოებების კონკურსი, რომლის მიზანიც იყო ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის, განსაკუთრებით კი - ოჯახში ძალადობის შესახებ ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირება, ამ თემაზე საზოგადოებრივი დისკუსიის სტიმულირება და, ამგვარად, ხსენებული საკითხის მიმართ ხალხის დამოკიდებულების შეცვლა. ამ ინიციატივის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა თეატრებში სამი პიესა დაიდგა.

118. 2011 წელს საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოსა

(შემდგომში "უწყებათაშორისი საბჭო") და საქართველოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეები სკოლებში მოსწავლეებს შეხვდნენ. გარდა ამისა, შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან და ლექტორებთანაც გაიმართა. უწყებათაშორისი საბჭოს ინიციატივით, საინფორმაციო შეხვედრები შედგა აგრეთვე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან.

119. ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა რესპუბლიკის მასშტაბით ჩაატარა 30-ზე მეტი შეხვედრა მოსახლეობასთან -მათ შორის, კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებთან (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან; იძულებით გადაადგილებულ პირებთან; სამღვდელოებასთან), რომლებშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ოჯახში ძალადობის საკითხებიც განიხილებოდა. შეხვედრებზე ოჯახებში ბავშვების მიმართ ძალადობის პრობლემასაც შეეხნენ. ასეთივე დისკუსიები გაიმართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მდებარე 3 სკოლაშიც. მსჯელობებს 76 მოსწავლე დაესწრო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო ფონდთან და ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან ერთად დაბეჭდა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაავრცელა ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი მიძღვნილი 18000-ზე მეტი ბროშურა და ბუკლეტი. ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა სახელმწიფო ფონდთან ერთად განახორციელა ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრების თანამშრომელთა ტრენინგები. გარდა ამისა, ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა ჩაატარა ლექციები თემაზე "ახალგაზრდების ინფორმირება ოჯახში ძალადობის პრობლემებთან დაკავშირებით", რომლებსაც თბილისის სკოლების 600-მდე უფროსკლასელი დაესწრო.

120. 2011 წელს საქართველოს რაგბის კავშირმა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) ერთად, მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა მხარდამჭერი აქცია ჩაატარა. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გამოუშვა მაისურები, ბროშურები და სხვა სახის საკომუნიკაციო მასალა "მსოფლიო ახალგაზრდული ალაფის" (Junior World Rugby Trophy) მატჩების მსვლელობისას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის (2 309 903) შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ოჯახში ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის სტიმულირების მიზნით. საქართველოს რაგბის კავშირთან (GRU) და რაგბის საერთაშორისო საბჭოსთან (IRB) თანამშრომლობით გაიმართა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა 2011 წლის "მსოფლიო ახალგაზრდული ალაფის" გათამაშებაზე მორაგბეთა გაეროს გენერალური მდივნის კამპანიაში ("გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ") ჩართვას. გარდა ამისა, 2011 წლის 29 მაისს ცნობილი ქართველი მორაგბეები, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროექტის ფარგლებში, შეხვდნენ თბილისის არასრულწლოვანთა გამასწორებელი დაწესებულების პატიმრებს. შეხვედრაზე მორაგბეებმა 200-მდე მაისური დაარიგეს და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ძალადობის დაგმობისკენ მოუწოდეს. 2013 წლის ივლისში ბათუმის პლაჟის რაგბის საერთაშორისო ტურნირზე 8 შეხვედრა მთლიანად ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციას მიეძღვნა. საქართველოს რაგბის კავშირისა და

პლაჟის რაგბის კავშირის ერთ-ერთ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე განსაკუთრებული აქცენტი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთაზე გაკეთდა.

121. განხორციელდა სხვადასხვაგვარი ღონისძიებები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარების მიზნით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცალკეული საგნის სახით შემოიღო კურსი სახელწოდებით - "გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ძირითადი საკითხები". ოჯახში ძალადობისადმი მიძღვნილი ცალკე თავი შევიდა საჯარო სკოლების მე-9 კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილ "სამართლებრივი კულტურის" სახელმძღვანელოში.

122. 2010 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა დამხმარე სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რომელიც პოლიციის აკადემიისა და პოლიციის მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიყენება. დოკუმენტში ჩამოთვლილია ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც საგრძნობლად ამცირებს ოჯახში ძალადობის შემთხვევათა რაოდენობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ძირითად კურსში შესულია კურსი ოჯახში ძალადობის შესახებ. ამ ლექციებს ყოველწლიურად ესწრება საპატრულო თუ რაიონულ პოლიციაში დასაქმების ათასზე მეტი კანდიდატი. 2011 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის, არასამთავრობო ორგანიზაცია ADღA-სა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით ტრენინგები ჩაუტარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 346 თანამშრომელს.

123. სოციალური მომსახურების სააგენტომ არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდთან" ერთად შეიმუშავა ტრენინგის პროგრამა ბავშვის წინაღმდეგ ძალადობის შემთხვევაში მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებთან დაკავშირებით. პროგრამის ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდათ სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკებს. სახელმწიფო ფონდმა ტრენინგები მოაწყო სახელმწიფო თავშესაფართა ადმინსტრაციის წარმომადგენლთათვის. გარდა ამისა, სახელმწიფო ფონდმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად განახორციელა ტრენინგები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის ოპერატორთათვის.

124. უწყებათაშორისი საბჭოს ინიციატივის საფუძველზე ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, ტრენინგები ჩაუტარდა თბილისის 5 რაიონის ბაგა-ბაღების 200-ზე მეტ მასწავლებელსა და მეთოდისტს. ამასთან ერთად, ბავშვებზე ძალადობის

საკითხებთან დაკავშირებით, თბილისის მასშტაბით, ტრენინგები გაიარა 392 სოციალურმა მუშაკმა და მანდატურმა.

125. სახელმწიფო ფონდმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR) ერთად პანკისის ხეობაში გამართა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ტრენინგები. ქალთა საკონსულტაციო ცენტრი - "სახლი" სკოლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების მასწავლებელთათვის მართავს ტრენინგებს. გარდა ამისა, ცენტრი საინფორმაციო შეხვედრებს აწყობს იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

126. ევროპის საბჭომ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN ჭომენ), ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოსთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად მოაწყო რეგიონული სემინარი "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის" შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ხელშეწყობის მიზნით. სახელმწიფო ფონდის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით - "ოჯახში ძალადობა და სისხლის სამართლის კანონმდებლობა".

VII. შეზღუდული შესაძლებლობები, საბაზისო სამედიცინო მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

127. ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების 42-ე და 43-ე პარაგრაფების (CRC/C/GEO/CO/3) საფუძველზე, 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება. ამავდროულად, 2014 წლის 20 იანვარს საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა", რომელიც შემუშავდა ზემოთ ხსენებული კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით და რომელიც უახლოეს წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) უფლებების რეალიზების მიზნით კომპლექსური ზომების მიღებას გულისხმობს.

128. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი ინდივიდუალური განვითარების, თვითრეალიზებისა თუ განათლების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო პროგრამა სხვადასხვა სახის მიზნობრივ მომსახურებას ახორციელებს. ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა გულისხმობს: ცერებრალური დამბლის; სპინალური კუნთების ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების; კუნთების დისტროფიის; თანდაყოლილი მიოპათიის; კუნთების პირველადი დაზიანების; ჰემი-, პარა- და ტეტრაპლეგიის;

ცენტრალური ნერვული სისტემის გაღიზიანებისა და სისხლძარღვთა დაავადებების შედეგების; და ანთებითი პოლინევროპათიის მქონე ბავშვების რეაბილიტაციას; პერიფერიული ნერვული სისტემის ტრავმის მქონე 3 წლისა და 3 წელზე უფროსი ასაკის ბავშვების ფიზიკურ რეაბილიტაციას; ადაპტირების შესაძლებლობის გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრირების ხელშეწყობას; ძვალსახსროვანი დაავადებების სპეციალისტთან კონსულტაციებს; თერაპიულ მასაჟს; ფიზიოთერაპიულ მანიპულაციებსა და ფიზიოთერაპიას. აუცილებლობის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს მიეწოდებათ ისეთი დამხმარე საშუალებები, როგორებიცაა - სასმენი აპარატები, კოხლეარული იმპლანტები, ინვალიდის სავარძლები, საპროთეზო-ორთოპედიული მოწყობილობები და ა.შ.

129. დღის ცენტრები უზრუნველყოფენ აბილიტაციის (რეაბილიტაციის) პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რაც მოიცავს დღეში ორჯერ კვებას (შაბათ-კვირისა და უქმეების გარდა); აკადემური თუ ფუნქციური უნარების განვითარებისკენ და საოჯახო თუ პროფესიული უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართულ აქტივობებს; და კულტურულ თუ სპორტულ-გასართობ ღონისძიებებს.

130. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს განვითარების დარღვევათა ადრეულ იდენტიფიცირებას, 0-7 წლის გონებრივად თუ ფიზიკურად ჩამორჩენილ ბავშვთა სოციალური, მოტორული, კოგნიტიური, თვითმოვლისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას მათი დროული გამოჯანმრთელების მიზნით, მშობლების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და ზრუნვის სპეციფიკური ნიუანსების სწავლებას. დანარჩენ სფეროებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების რეალიზების პროგრამებთან დაკავშირებულ ინფორმაციას შესაბამის ქვეთავებში იხილავთ.

ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება

131. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებს, შეიმუშავებს სათანადო პროგრამებს დაავადებათა პროფილაქტიკისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშესაწყობად -განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა შორის -და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს დედათა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის პოლიტიკას და უზრუნველყოფს ბავშვთა ოპტიმალური განვითარებისათვის ხელის შემწყობ გარემოს. ამ მიზნით, ქვეყანაში 20 სახელმწიფო პროგრამა მუშაობს.

132. 2013 წლის 28 თებერვალს ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა. პროგრამის პირველი ფაზა მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტით - პირველადი სამედიცინო დახმარებითა და გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციით უზრუნველყოფდა. 2013 წლის პირველი ივლისიდან კი, პროგრამა გაფართოვდა და პირველადი სამედიცინო დახმარებისა და გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის უფრო მრავლისმომცველი სერვისები, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, გეგმური ქირურგიული ოპერაციები, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა და მშობიარობა მოიცვა. დღესდღეობით, პროგრამით 3.4 მილიონი ადამიანი სარგებლობს.

133. ჯანმრთელობის დაზღვევისა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები მიზნად ისახავს მოსახლეობის - განსაკუთრებით, ბავშვებისა და მოზარდების - ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში არსებული რისკ-ფაქტორების, როგორც ჯანდაცვასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების, ასევე, სამედიცინო მომსახურების ხარჯებით განპირობებული ფინანსური რისკების შემცირებას. გარდა ამისა, ხსენებული პროგრამების მიზანია სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა და სიკვდილიანობისა თუ დაავადებათა მაჩვენებლის შემცირება.

134. უდიდესი ყურადღება ეთმობა სახელმწიფო პროგრამაში დედათა, ჩვილთა და ბავშვთა სამედიცინო სერვისების ჩართვას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით. ბავშვთა დაავადებების მართვისა და გართულებების პრევენციისათვის მოქმედებს 40-ზე მეტი გაიდლაინი და პროტოკოლი.

135. დედათა და ბავშვთა ჯანრთელობაზე - მათ შორის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად, 2011 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც გულდასმით იკვლევს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და იძლევა რეკომენდაციებს სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი რეაგირებისათვის. 2013 წელს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭო. საბჭო შეისწავლის დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობისა და დაავადებათა მონაცემებს და, ანტე-, პერი-, და პოსტნატალურ მომსახურებათა ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე აყალიბებს წინადადებებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

136. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ფირმა ჟოჰნ შნოწ Iნც.-ის (JSI) მიერ განხორციელებულმა პროგრამა "შენარჩუნებამ" მთელ ქვეყანაში გაზარდა მტკიცებულებებზე დამყარებული პერინატალური ზრუნვის მასშტაბები და ჩაატარა პერინატალური ზრუნვის პერსონალის ტრენინგები. 2013 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პერინატალური ზრუნვის დაწესებულებების მთელი ქვეყნის მასშტაბით შეფასებასა და ორსულ ქალთა და ახალშობილთა დახმარების (პერინატალური) სერვისების რეგიონალიზაციის გეგმის შემუშავებაში.

137. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა "შენარჩუნებისა" და საერთაშორისო სააკრედიტაციო კომისიის თანამშრომლობის შედეგად ამუშავდა პერინატალური ზრუნვის აკრედიტაციის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს, პერინატალური ზრუნვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და დედათა და ჩვილთა სიკვდილიანობისა თუ ავადმყოფობის შემცირების ხელშეწყობის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების უწყვეტ კონტროლს.

138. საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებლის (30-35%) არსებობის გამო, John Snow Inc.-ის ფინანსური მხარდაჭერით 2013 წლის ივნისში თბილისის სამშობიარო სახლების საპილოტო კვლევა განხორციელდა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა ეროვნული პროტოკოლი "საკეისრო კვეთა" (საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 30 ოქტომბრის N 01-220/ო ბრძანების საფუძველზე).

139. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს ორსული ქალების ეფექტიანი მხარდაჭერისა და მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული თუ ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით დედათა და ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებას. პროგრამის ფარგლებში დაინერგა სამედიცინო სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხო ორსულობასა თუ მშობიარობას და ამცირებს დედისგან ბავშვისთვის ინფექციის გადადების საშიშროებასა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევებს. გარდა ამისა, პროგრამა გულისხმობს ორსულ ქალთა ანტენატალურ მეთვალყურეობას (4 ვიზიტი) და აივ ინფექციაზე, B ჰეპატიტსა და გენეტიკურ პათოლოგიებზე შემოწმებას. ჩვილები და მოზრდილი ბავშვები მოწმდებიან ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ასევე მოწმდება სმენაც. გარდა ამისა, პროგრამა მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ორსულთა სტაციონარულ მკურნალობასაც უზრუნველყოფს.

140. ბოლო ორი წლის განმავლობაში მუშაობდა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანი იყო იმუნიზაციის მეშვეობით ქვეყნის მოსახლეობის ინფექციებისგან დაცვა.

141. საქართველოს მთავრობა განაგრძობს მოსახლეობის ჯანდაცვასა და ჯანმრთელობის საჭიროებებთან დაკავშირებული სხვა სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერას. სახელმწიფო მთლიანად ფარავს როგორც აივ ინფექციის/შიდსისა და ტუბერკულოზის, ასევე სხვა ინფექციური დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ხარჯებს. შემუშავების პროცესშია ისეთი "ძირითადი მკვლელების" პრევენცია და კონტროლი, როგორებიცაა კიბო და ონკოჰემატოლოგიური თუ გულსისხლძარღვოვანი დაავადებები. ცალკეული სპეციფიკური პროგრამები მოიცავს ქრონიკულ დაავადებებს (როგორებიცაა, დიაბეტი და ჰემოფილია), სხვადასხვა იშვიათ ავადმყოფობას, პალიატიურ მზრუნველობას, ფსიქიკურ ჯანდაცვასა და ა.შ.

142. ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს ბავშვებსა და მოზარდებს შორის გადამდები და არაგადამდები დაავადებების დროულ გამოვლენას და ხელს უწყობს მათ პრევენციას პირველად მედიკო-სანიტარულ დონეზე. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე ზედამხედველობას და ამოწმებს ვირუსულ ჰეპატიტთან (და მის რისკ-ფაქტორებთან) კავშირის არმქონე ავადმყოფობებით დაავადებულ პაციენტებს B ჰეპატიტის ვირუსის ზედაპირული ანტიგენის (HbsAGg, antiHBC ანტისხეულისა და ჩ ჰეპატიტის ანტისხეულების (antiHCV) გამოვლენის მიზნით. 2 წლის წინ დაიწყო ნოზოკომიური ინფექციების, დიარეული დაავადებების, მენინგოენცეფალიტისა და ჰემორაგიული ინსულტის კონტროლი.

143. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები, სხვებთან ერთად არიან: 5 წლამდე ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბავშვები და ქალები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70000-ს არ აღემატება და სკოლა-ინტერნატებში მცხოვრები, რეინტეგრირებული, ან შვილად აყვანილი ბავშვები. ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 0-დან 6 წლამდე 320554 ბავშვი და 6-დან 18 წლამდე 95791 ბავშვია დაზღვეული.

144. 2013 წლის 28 თებერვალს ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე 2.4 მილიონი მოქალაქე (მათ შორის, 0-დან 18 წლამდე 303296 ბავშვი) მოიცვა. პროგრამა ბავშვებსა და მოზარდებს გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით, ამბულატორიული სერვისებითა და ქირურგიული ოპერაციებით

უზრუნველყოფს და ეხმარება მშობიარე ქალებს. პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირდა 13773 მშობიარობა, რომელთა 33% საკეისრო კვეთით ჩატარდა.

მოზარდთა ჯანმრთელობა

145. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში. 2007 წელს შეიქმნა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ სახელმწიფო დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოებების, მულტილატერალური და ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭომ შეიმუშავა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სტრატეგია და განსახილველად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.

146. 2010 წელს ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, ბოლო ათი წლის მანძილზე შობადობის მაჩვენებელი გაიზარდა (1.7-2.0) და აბორტების მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად იკლო (3.7-1.6), რაც პირდაპირ კორელაციაშია თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდების მატებასთან (41-53%). აბორტებისა და აბორტების გართულების პრევენცია უშუალოდაა დამოკიდებული კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე და კონსულტირებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობაზე. დღეისათვის ოჯახის დაგეგმვის სამსახურები ინტეგრირებულია პირველად ჯანდაცვის დონეზე, თუმცა კონტრაცეფციის ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სტრატეგიებსა და ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული და მხოლოდ დონორთა (გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)) დახმარების საგანია.

147. ბოლოდროინდელი შემცირების მიუხედავად, აბორტების საკითხი უმთავრეს პრობლემად რჩება ოჯახის დაგეგმვის პროცესში. საქართველოში აბორტების რიცხვი კვლავაც უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. მოზარდობაში ორსულობა ისევე, როგორც ადრეულ ასაკში შვილის ყოლა, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყოველ 1000 მოზარდზე 15-25 ორსულობა მოდის. ეს მაჩვენებელი 2-4-ჯერ მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქართველოში კი 62-ს აღწევს.

148. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის (139-ე მუხლი) თანახმად, ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას და ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და

გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა. გასაუბრების დროს ექიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას. არჩევანი ქალის პრეროგატივაა.

149. პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის სასწავლო კურსში რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებიც შევიდა. 2010 წლის ბოლოსთვის ტრენინგი 1794 ექიმმა გაიარა. იმავე წელს, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების პროვაიდერებისთვის ოჯახის დაგეგმვის გაიდლაინი დამტკიცდა.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

150. ფსიქიკური ჯანმრთელობა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური, ბიოლოგიური და გარემო ფაქტორებით განისაზღვრება. საქართველოში არსებული ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის წყალობით, ქვეყნის მოსახლეობაში ფსიქიკური დარღვევების რიცხვი კლებას განაგრძობს, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს, რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი სტრესული მდგომარეობის გამო, ასეთი დარღვევების ზრდა შეინიშნებოდა. საქართველოში ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია როგორც ევროპის, ასევე ამიერკავკასიის მასშტაბითაც. დისპანსერულ აღრიცხვაზე მყოფ ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების მქონე პაციენტთა რაოდენობა მატულობს. ამ მხრივ, ყველაზე დიდი მაჩვენებელი იმერეთის, სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონებში ფიქსირდება. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა არაგადამდები დაავადებების კვლევამ უჩვენა, რომ დეპრესიის შემოწმებისა და დიაგნოსტირების მაჩვენებელი ძალიან დაბალია ამბულატორიულ პაციენტთა კლინიკურ დონეზე (3% ამბულატორიული სამედიცინო ბარათების მიხედვით), თუმცა რეპროდუქციული ასაკის გამოკითხულ ქალთა 45.5%-ს დეპრესიის სიმპტომები აღმოაჩნდა.

151. საქართველოში ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისების პროგრამა 1995 წლიდან მუშაობდა და ინტენსიურად ვითარდებოდა ბენეფიციართათვის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის დაფინანსება უფრო მოქნილი გახდა და სულ უფრო მეტადაა ორიენტირებული პაციენტის საჭიროებებზე. პაციენტები უზრუნველყოფილი არიან შემდეგი სახის სერვისებით: ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებებით, ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებით, ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციით და ალკოჰოლიზმთან დაკავშირებული ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების მქონე პაციენტთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით.

152. დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 50-ე პარაგრაფიდან გამომდინარე,Fფსიქიკური ჯანდაცვის სექტორის ძირითადი რეფორმა 2010 წელს დაიწყო. რეფორმა გულისხმობდა ფსიქიკური ჯანდაცვის ტრადიციული პრაქტიკის მიმართ სრულიად განსხვავებულ მიდგომას და ინფრასტრუქტურის განვითარებას, პერსონალის პოტენციალის გაზრდას, ბავშვთა და მოზარდთათვის განკუთვნილი ფსიქიატრიული სერვისებისა და თემზე დაფუძნებული სერვისების გაუმჯობესებას.
153. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალპროფილიან კლინიკებში ბავშვთა ფსიქიატრიული განყოფილებების შექმნას, რადგან სტიგმატიზების შიშით და ყოფითი პირობების გამო მშობლები ხშირად თავს იკავებენ ბავშვთა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მიყვანისგან. ბავშვთა ფსიქიატრიული განყოფილებები აღიჭურვა უახლესი სამედიცინო და შემეცნებით-გასართობი საშუალებებით და ბავშვთა და მოზარდთა სათანადო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა სპეციალისტთა მულტიდისციპლინური გუნდი.

154. მომზადდა და პარლამენტს განსახილველად წარედგინა 2014-2024 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია. შესაბამისად, საქართველო იღებს ვალდებულებას, ისე მოახდინოს ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისების ორგანიზება, რომ ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანებს მკურნალობა ნაკლებად ჩაკეტილ პირობებში, სახლთან შეძლებისდაგვარად ახლოს მიმდინარეობდეს -პაციენტთა პირადი საჭიროებების, უფლებებისა თუ ღირსების სრული პატივისცემით და სოციალურ ცხოვრებაში მათი თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობით.

აივ ინფექცია/შიდსი

155. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყანაში განხორციელებული პროფილაქტიკური ღონისძიებების მიუხედავად, აივ ინფექციით ინფიცირების შემთხვევები მატულობს. 2012 წელს აივ ინფექციით ინფიცირების მაჩვენებელი 0-14 წლის პირთა შორის 2.0-ს, 15-42 წლის პირთა შორის კი -4.7-ს შეადგენდა. ეს ევროკავშირის მაჩვენებელზე ორჯერ მაღალია, თუმცა სამჯერ უფრო დაბალია, ვიდრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მაჩვენებელი. მაღალია ე.წ. გადარჩენის მაჩვენებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ აივ ინფექციის მქონე ადამიანთა უმეტესობა 12-თვიანი მკურნალობის შემდეგ კვლავაც განაგრძობს მკურნალობას (86%). 2010 წლამდე საქართველოში აივ ინფექციის გავრცელების უმთავრეს მიზეზს ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება წარმოადგენდა. 2011 წელს ინფექციის გადაცემის მთავარ მიზეზად ჰეტეროსექსუალური კონტაქტები იქცა. ეს ტენდენცია 2012 წელსაც შენარჩუნდა.

156. 2005 წელს შემუშავდა “აივ ინფექცია/შიდსის 2006-2011 წლების ეროვნული სტრატეგიული გეგმა”, რომელსაც მოჰყვა “აივ ინფექცია/შიდსის 2011-2016 წლების ეროვნული სტრატეგიული გეგმა”. 2010 წელს მომზადდა და დამტკიცდა “აივ

ინფექცია/შიდსის რუტინული ეპიდზედამხედველობის გაიდლაინი" (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის N217/ო დადგენილება). ამუშავდა აივ ინფექცია/შიდსის ელექტრონული მონაცემთა ბაზა. 2007 წლიდან მუშაობს აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის საპასუხო ღონისძიებების საკოორდინაციო საბჭო, რომელიც აივ ინფექცია/შიდსის პრევენციასა და კონტროლს და სექტორთაშორის კოორდინაციას ახორციელებს.

157. აივ ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამის მიზნებია: აივ ინფექციით/შიდსით ინფიცირების ახალი შემთხვევების დროული გამოვლენა, აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების პრევენცია, აივ ინფიცირებულ პაციენტთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. პროგრამა უზრუნველყოფს: ა) აივ ინფექციით ინფიცირების რისკ-ჯგუფში შემავალ პირთა ნებაყოფლობით შემოწმებასა და კონსულტირებას; ბ) აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას, გარდა ანტირეტროვირუსული მკურნალობისა, რასაც დონორი ორგანიზაციები ახორციელებენ.

158. 2009 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "აივ ინფექცია/შიდსის შესახებ", რომელიც განსაზღვრავს აივ იფექცია/შიდსის საპასუხო ღონისძიებების ძირითად პრინციპებს, ფიზიკურ პირთა აივ ინფექციაზე ტესტირების, აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა მკურნალობისა თუ მოვლის და მათზე ზრუნვის საკითხებს, აგრეთვე, აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა და მედიცინის მუშაკთა უფლება-მოვალეობებს.

159. საქართველო არის ერთადერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს ანტირეტროვირუსული მკურნალობის საყოველთაო ხელმისაწვდომობას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) 2004 წლის კრიტერიუმების მიხედვით (CD4<200 ასლი/მლ) -ეს მკურნალობაც სწორედ ამ წელს დაიწყო. ამ ახალი კრიტერიუმების მიხედვით (CD4<350 ასლი/მლ), საქართველოში აივ ინფიცირებულების 76%-ი მკურნალობს. ასეთი მკურნალობის საყოველთაო ხელმისაწვდომობის წყალობით, აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად იკლო. 2004 წელს სიკვდილიანობის წილი ყოველ 100 პაციენტში 10.7-ს შეადგენდა. 2012 წლის ბოლოსთვის ამ ციფრმა 4.02-მდე იკლო.

160. "უსაფრთხო სისხლის" პროგრამის ფარგლებში დედათა და ბავშვთათვის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება აივ ინფექციაზე/შიდსზე ანტენატალური ტესტირება და დონორთა სისხლის შემოწმება.

161. ამჟამად მუშაობს დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები: "აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება

საქართველოში” და “აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და დამხმარე ღონისძიებების ჩატარების პროგრამა”, რომლებსაც აივ ინფექცია/შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი ახორციელებს. ხსენებულ საკითხებში მეორე უდიდესი დონორია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), რომელიც “აივ პრევენციის” პროექტს აფინანსებს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა აივ ინფექციის/შიდსის საწინააღმდეგო პროგრამებში, საერთო ჯამში, $ 11 მლნ. დახარჯეს.

ცხოვრების დონე

162. საქართველოს სოციალური დაცვის უნიფიცირებული სისტემა ბავშვთა საჭიროებებსაც ითვალისწინებს. ბავშვთა მიტოვების პრევენციის პროგრამები 0-დან 1.5 წლამდე პატარებს ბავშვთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ეს პროგრამები ღარიბ ჯახებში მცხოვრებ, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს დღის ცენტრებით სარგებლობას სთავაზობს, სადაც ისინი საკვებით და განვითარებისთვის აუცილებელი პროგრამებით არიან უზრუნველყოფილი. სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახებს, მათ შორის ბავშვიან ოჯახებს, ეძლევა ფულადი დახმარება. ამჟამად, ქვეყნის მასშტაბით, 116951 ბავშვი იღებს ასეთ დახმარებას, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები 391811 ბავში კი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის მფლობელია. ამასთან ერთად, ერთი ან ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში, ბავშვებს მარჩენალდაკარგულის, ან შეზღუდული შესძლებლობის მქონის სტატუსი ენიჭებათ. 2013 წელს ქვეყანაში 35900 ასეთი ბენეფიციარი ირიცხებოდა. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში “ოჯახური გარემო და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები”.

VIII. განათლება, თავისუფალი დრო და კულტურული ღონისძიებები

განათლების უფლება - პროფესიული მომზადებისა და ორიენტირების ჩათვლით

163. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“ (მუხლი 35(1)). საქართველოს განათლების სისტემამ 2004 წლის რეფორმების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და, დღესდღეობით, სოციალური ინკლუზიის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და კონკურენტუნარიანობის ღირებულებებზეა ორიენტირებული. რეფორმის უმთავრეს მიზნებად განათლების სისტემის შედეგიანობის ხარისხის გაუმჯობესება და განათლების სისტემაში თანასწორობის უზრუნველყოფა მოიაზრებოდა. საქართველოში ზოგადი და ინკლუზიური განათლების საკითხებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და ეროვნული სასწავლო გეგმა არეგულირებს. ეს დოკუმენტები ხაზს უსვამს ინკლუზიური განათლების,

ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და მოსწავლეთა სწავლებისა თუ აკადემიური მოსწრების შეფასების დივერსიფიცირებული სტრატეგიების მნიშვნელოვნებას. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი 6-დან 14 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს უფასო და სავალდებულო სწავლებით უზრუნველყოფს.

ინკლუზიური განათლება

164. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დანერგა რამდენიმე პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა მარგინალიზებული ჯგუფების განათლების კუთხით თანასწორობას და განათლების ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფას:

- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პრიორიტეტად გამოცხადდა;
- შეიცვალა სკოლების დაფინანსების სისტემა და უფრო მეტად გახდა ორიენტირებული კონკრეტული სკოლის საჭიროებებზე (იხ. ქვემოთ);
- 2013 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს ყველა მოსწავლე უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყო;
- სოფლებსა და მაღალმთიან რაიონებში მომუშავე დაახლოებით 900 საჯარო სკოლას უფასო ტრანსპორტი გამოეყო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროექტს „ეროვნული მოდელი -განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“. პროექტი კვლევითი ხასიათისაა და მიზნად ისახავს „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის“ პროგრამის განხორციელების რელევანტური და რეალური მოდელების კვლევასა და დოკუმენტირებას.

165. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა 2014-2016 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მიმართებაში, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპების შესრულებას. საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, აღიარებს სალამანკის დეკლარაციით განსაზღვრულ პრინციპებს პოლიტიკასა და პრაქტიკას „განათლების სპეციალურ საჭიროებებთან დაკავშირებით“.

166. 2009-2010 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს 14-ვე სპეციალური სკოლა შეამოწმა. შემოწმების შემდეგ მოხდა სისტემის რეფორმირება და ფუნქციონირებას 14-ის ნაცვლად, მხოლოდ რვა სკოლა განაგრძობს - 1 უსინათლოთა და მცირე მხედველთათვის, 2 ყრუთა და სმენადაქვეითებულთათვის, 1 ქცევითი დარღვევებისა და 4 ფსიქიკური დარღვევების მქონე ბავშვებისთვის.

167. 2009-2010 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და არასამთავრობო ორგანიზაცია შავე ტჰე ჩჰილდრენ-მა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის ("თანაბარი პირობების შექმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის") ფარგლებში განახორციელეს სპეციალურ სკოლებში ყრუ და სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა შეფასება. შეფასების მიზანი იყო სკოლებში დეფექტოლოგიის საბჭოური იდეის ამოძირკვა. დეფექტოლოგია შეიცვალა თანამედროვე მიდგომით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის განვითარებისა და განათლების გაგრძელებას მისი მეტყველებითი თუ სმენითი შესაძლებლობების მიუხედავად. გარდა ამისა, სპეციალური სკოლები ბავშვის მეტყველებისა და სმენის განვითარებაზეც მუშაობენ, და ამისათვის ახალი თაობის (თანამედროვე ტექნოლოგიით შექმნილ) სმენის აპარატებსა და მეტყველების განვითარების გაუმჯობესებულ მეთოდებს იყენებენ. ჟესტების ენასა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს საგანმანათლებლო პროცესში საკვანძო ადგილი უკავია და მათი სწავლება პირველი კლასიდან უნდა იწყებოდეს. სწავლების მეთოდები და სასწავლო პროგრამა სრულად შეესაბამება ბავშვის განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. 2013 წელს, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პირველად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უსინათლოთა სპეციალური სკოლები ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით მოამარაგა.

168. ჩვეულებრივ, ფინანსური რესურსების უდიდესი ნაწილით სკოლებს სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფდა. ამჟამად, ვაუჩერების სისტემა საშუალებას აძლევს სასწავლო დაწესებულებებს, სახელმწიფო დაფინანსება მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით მიიღონ. ამ რეფორმის უმთავრესი მიზანი სკოლების სამართლიანი და ეფექტიანი დაფინანსების უზრუნველყოფაა. 2013 წლამდე საჯარო სკოლები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის დამატებით სახსრებს არ იღებდნენ. 2013 წლის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური მასწავლებლებისთვის ხელფასების გაცემა დაიწყო. ყველა სპეციალური სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული მოსწავლისთვის თითო ვაუჩერს იღებს. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალურ სკოლებში "სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამასაც" ახორციელებს. ამ პროგრამის ფარგლებში სამინისტრო სკოლა-ინტერნატით, ტანსაცმლითა და სამედიცინო დაზღვევით მხოლოდ იმ მოსწავლეებს უზრუნველყოფს, რომლებიც განათლებას სპეციალურ სკოლებში იღებენ.

169. 2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო. ღონისძიება ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს

მხარდაჭერით, “ინკლუზიური განათლების პროფესიული განათლების სისტემაში დანერგვის” პროექტის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის მიზანია:

1. საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების განხორციელების რეკომენდაციის შედგენა;
2. პროცესში სოციალური პარტნიორების როლის გაზრდა;
3. ეფექტიანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში, ადამიანური რესურსების შექმნა;
4. სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში ფიზიკური გარემოს მომზადება;
5. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა შეკრება და პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ცენტრებში ჩართვა;

170. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა და აამოქმედა პროფესიული შეფასების პროცედურები. 2013 წელს 11 პროფესიული განათლების ცენტრში 51 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირი დარეგისტრირდა და შეფასდა მრავალდისციპლინური გუნდის მიერ.

171. საქართველოში სპეციალური მასწავლებლები წარმოადგენენ სპეციალისტთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებიც სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სპეციალურ სკოლებში მუშაობენ. სპეციალური მასწავლებლების უმეტესობა დამხმარე პედაგოგებად მუშაობს, დანარჩენები ინკლუზიური განათლების კოორდინატორები არიან,

172. სპეციალურ პედაგოგებს შემდეგი აკადემიური ხარისხები ენიჭებათ:

- ბაკალავრის ხარისხი ე.წ. “დეფექტოლოგიაში” ან სპეციალურ განათლებაში;
- ბაკალავრის/მაგისტრის ხარისხი პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა და ა.შ., დამატებითი ტრენინგები და კურსები სპეციალურ განათლებაში;
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო პროგრამა, რომელიც 2014 წელს ამოქმედდება.

173. სპეციალური პედაგოგების პროფესიული მომზადების ხანგრძლივი პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2010 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები.

174. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში მასწავლებელთა დახმარების მიზნით შემდეგ ღონისძიებებს ახორციელებს:

- ტრენინგები ჩვეულებრივი მასწავლებლებისთვის სასწავლო პროცესისგან მოუწყვეტლად -ტრენინგის მოდული 2011 წელს შემუშავდა და გამოიცადა; და

ამ საპილოტო ტესტირების შედეგების მიხედვით განისაზღვრა მისი თემები. ტრენინგის მოდული შეიცავს 25 საკონტაქტო საათს და აღწერს იმ გარემოსა თუ მეთოდოლოგიას, რომელიც მასწავლებლებს მოწაფეთა სხვადასხვა საჭიროებების (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების) დაკმაყოფილებში ეხმარება. ზემოთ ხსენებული საწვრთნელი კურსი როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მომუშავე მასწავლებლებმაც გაიარეს. პროგრამამ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა და ტრენინგი 3000-ზე მეტ პედაგოგს ჩაუტარდა.

- ინდივიდუალური კონსულტირების პროგრამას -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს ინდივიდუალური კონსულტირების პროგრამას იმ ჩვეულებრივი მასწავლებლებისთვის, რომლებისთვისაც ტრენინგები არ არის საკმარისად ინფორმაციული და რომლებსაც სპეციალური საჭიროებების მოწაფეთა სწავლებისთვის დამატებითი დახმარება ესაჭიროებათ. ასეთ მასწავლებლებს შეუძლიათ მიმართონ ცენტრს და ითხოვონ კონსულტაცია. ცენტრის კონსულტანტები ჩვეულებრივ მასწავლებლებს სათანადო სასწავლო სტრატეგიის განსაზღვრაში, ინდივიდუალური მიზნების დასახვასა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე თითოეული მოწაფისთვის სასწავლო გარემოს შექმნაში დაეხმარებიან.

175. 2012 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა და გამოიცადა სპეციალურ პედაგოგთა ტრენინგის კურსი. კურსი 75 საკონტაქტო საათს შეიცავს და მისი ძირითადი თემებია:

- განვითარების დარღვევები;
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და ეფექტიანი სწავლების სტრატეგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- ქცევითი დარღვევები და კლასის მართვა;

176. ტრენინგის კურსი ხელმისაწვდომია სკოლებში მომუშავე ყველა სპეციალისტისთვის (ჩვეულებრივი მასწავლებლებისთვის, სპეციალური მასწავლებლებისთვის, ინკლუზიური განათლების კოორდინატორებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, ერგოთერაპევტებისთვის და ა.შ.) 2013 წლის აპრილის შემდეგ სპეციალური განათლების 5 კურსი ჩატარდა; თითოეულ ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა 15-დან 25-მდე მერყეობდა.

IX. დაცვის სპეციალური ღონისძიებები

ლტოლვილი ბავშვები

177. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა დეპარტამენტი ლტოლვილი ბავშვების მონაცემებს აგროვებს. ამ მონაცემთა ბაზის თანახმად, საქართველოში 146 ლტოლვილი ბავშვია. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტი ამ ინფორმაციას პროფილირების პროცედურების მსვლელობისას აგროვებს, ლტოლვილთა მონაცემთა ბაზაში მაინც არ არის ასახული დეზაგრეგირებული მონაცემები და ინფორმაცია ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობებისა და ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ. ბაზაში რეგისტრირებული არ არის მზრუნველობის გარეშე მყოფი არც ერთი ბავშვი.

178. მზრუნველობის გარეშე მყოფ თავშესაფრის მძებნელ ბავშვებთან დაკავშირებულ შემთხვევებს განიხილავს საქართველოს კანონი "ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ". სამინისტროს რეპატრიაციისა და ლტოლვილთა დეპარტამენტი მუშაობს მზრუნველის გარეშე დარჩენილ, თავშესაფრის მძებნელ არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ერთადერთ შემთხვევაზე. ლტოლვილთა შესახებ კანონის თანახმად, მას დაენიშნა მეურვეობა და ხორციელდება თავშესაფრის მიცემის ყველა სათანადო პროცედურა მასზე ზედამხედველობის მიზნით.

179. საქართველოში ლტოლვილები, მათ შორის, ბავშვებიც, ჯანმრთელობის უფასო დაზღვევით არიან უზრუნველყოფილი. სამედიცინო დაზღვევის ხარჯებს ფარავს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ოფისი საქართველოში.

180. პანკისის ხეობის სოფლებში კახეთის რეგიონის განვითარების ფონდის მიერ საგანმანათლებლო პროექტი ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ჩეჩნეთიდან ლტოლვილი ბავშვები ინგლისური ენის, კომპიუტერის, ქართული ენისა და ჩეჩნური ენის კურსებს ესწრებიან. გარდა ამისა, ბავშვებისთვის არსებობს კერვის კურსებიც.

იძულებით გადაადგილებული ბავშვები

181. საქართველოში იძულებით გადააგდილებულ ბავშვთა რაოდენობა 72413-ს შეადგენს. ეს ბავშვები სარგებლობენ საერთო სამედიცინო მომსახურებით, რომლითაც საქართველოს მთავრობა იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე ყველა ბავშვს უფასოდ უზრუნველყოფს.

182. დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) მე-60 პარაგრაფზე დაყრდნობით, იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის ყველა სერვისის (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვით, განათლებითა და ა.შ.) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა განსახლების პოლიტიკა რათა თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები ბინებით უზრუნველეყო, რაც ადრე არ კეთდებოდა. ამის უმთავრესი მიზეზი

ისაა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები წლების მანძილზე ცხოვრობენ დედაქალაქში და უკვე მიაღწიეს ინტეგრირების გარკვეულ დონეს.

183. დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) მე-60 პარაგრაფის "ა" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, 1996 წელს მიღებულ იქნა (და მას შემდეგ სამჯერ გადაიხედა) საქართველოს კანონი "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა შესახებ". 2013 წელს კანონის ანალიზმა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გამოავლინა. ახალი კანონპროექტის ამოცანაა იურიდიული მექანიზმების შექმნა იძულებით გადაადგილების შემთხვევაში მოქალაქეთა გადაუდებელი მხარდაჭერისა და გადაადგილების მთელი პერიოდის განმავლობაში მათი უფლებების დაცვის მიზნით.

184. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან უმნიშვნელოვანესია იძულებით გადაადგილებული პირის ახალი, უფრო დაწვრილებითი განსაზღვრება: "იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო და ვისაც საშუალება არ აქვს, დაუბრუნდეს თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე". ამგვარი ფორმულირების წყალობით კანონი იცავს არა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებებს, არამედ ყველა იმ პირთა უფლებებსაც, ვინც ოკუპაციის შედეგად დაზარალდა.

185. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებაა კანონპროექტში უნიფიცირებული, ანტიდისკრიმინაციული მიდგომის დანერგვა ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთან მიმართებაში. კერძოდ, გაუქმდება ისეთი ცნებები, როგორებიცაა "იგპ-თა კოლექტიური ცენტრი" და "კერძო სექტორში მცხოვრები იგპ-ები", რაც უზრუნველყოფს განსახლების თანაბარ პირობებს და ისეთი შეღავათების თანაბარ განაწილებას, როგორებიცაა სახელმწიფო შემწეობა და კომუნალური გადასახადების დაფარვა. გეგმის თანახმად, ყველა იძულებით გადაადგილებული პირი მიიღებს ერთნაირ სახელმწიფო შემწეობას 45 ლარის ოდენობით (20 ევრო), ნაცვლად ამჟამინდელი 22-28 ლარისა (თანხა მერყეობს საცხოვრებლიდან გამომდინარე). ამავე დროს, დევნილები თავად გადაიხდიან კომუნალურ გადასახადებს, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ინტეგრაციისკენ.

186. კანონპროექტში ჩამოთვლილია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფულადი შემწეობის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის მიზეზები. გარდა ამისა, კანონის

პროექტი ზუსტად განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის ღონისძიებებს საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით და დროებითი საცხოვრებლიდან მათი გამოსახლების წესებს. კერძოდ, იგპ-თა საცხოვრებელი სივრცის მესამე პირთათვის კანონიერ მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოსახლების ღონისძიებები ადამიანის ღირსების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების სრული დაცვით უნდა განახორციელოს.

187. დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) მე-60 პარაგრაფის "ბ", "ც" და "დ" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობისა და მოთხოვნებზე ორიენტირებულობის გაზრდის მიზნით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა სამინისტრომ 2013 წლის 9 აგვისტოს გამოსცა ბრძანება N 320 "დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ", რომელიც კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრავს იგპ-თა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცედურებს. ზემოთ ხსენებული ბრძანება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განსაკუთრებულ პრივილეგიებსაც ადგენს. მანამდე საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესს არც ერთი შესასრულებლად სავალდებულო აქტი არ არეგულირებდა.

188. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა სამინისტრომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავა "დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის" სახელმძღვანელო პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურები. კრიტერიუმები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, "იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს", იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2007 წლის სახელმწიფო სტრატეგიას, და საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 13 ივნისს დამტკიცებულ "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას". კრიტერიუმები ეყრდნობა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილების, ოჯახის მთლიანობის, ოჯახის ან მეურვის/მზრუნველის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნებისა და მათი განსაკუთრებული დაცვის, ასევე, სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის, დოკუმენტაციისა და საჯარო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

ეკონომიკური ექსპლუატაცია, ბავშვის შრომის ჩათვლით

189. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წამოიშობა 16 წლის ასაკიდან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.
190. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია 138-ის ("კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ") შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს არასრულწლოვანთა შრომითი კონტრაქტის გაფორმებას, თუკი ეს კონტრაქტი გულისხმობს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს შესრულებას და, შესაბამისად, გამორიცხავს ბავშვთა შრომის გამოყენებას "მაღაროებში და კარიერებში, დამმუშავებელ მრეწველობაში, მშენებლობაში, ელექტრო, აირ- და წყალმომრაგების სამსახურებში, სანიტარულ-ტექნიკურ სამსახურში, ტრანსპორტში, საწყობებში და კავშირგაბმულობის სამსახურებში. აგრეთვე, პლანტაციებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ძირითადად კომერციული მიზნისათვის" (კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი). გარდა ამისა, კანონმდებლობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (2007 წლის 3 მაისის N147ნ) დადგენილების საფუძველზე, განისაზღვრა "მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი" და "შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემოს ფაქტორების, შრომის პროცესების მავნეობისა და საშიშროების მიხედვით". კონვენციის მე-7 მუხლისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იკრძალება მოზარდთა ღამის საათებში მუშაობა (22:00 საათიდან 06:00 საათამდე). გარდა ამისა, კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფისა და მე-3 მუხლის "B" და "D" ქვეპუნქტების შესაბამისად, აკრძალულია მოზარდთა დასაქმება აზარტული თამაშების ბიზნესში; ღამის გასართობ დაწესებულებებში; ეროტიკულ და პორნოგრაფიულ ინდუსტრიაში; და ფარმაცევტული ან ტოქსიკური ნივთიერებების წარმოებაში, ტრანსპორტირებასა და რეალიზებაში.

191. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლის თანახმად, ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე, ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებით, ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა

ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს.

192. მიუხედავად იმისა, რომ ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვა ქვეყნის ერთ უმთავრეს პრიორიტეტთაგანს წარმოადგენს, ბავშვთა ექსპლუატაციის შესახებ მონაცემებში კვლავაც უამრავი ხარვეზი არსებობს. ბავშვთა ექსპლუატაციის შესახებ ინფორმაცია მოიცვა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ მომზადებულმა ანგარიშმაც. სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ სახალხო დამცველისგან მიღებული მონაცემებისა და რეკომენდაციების საფუძველზე სათანადო ღონისძიებები განახორციელა.

193. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის (N152/ნ-N496-N45/ნ) ერთობლივი ბრძანება (იხ. ზემოთ -ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმი) უზრუნველყოფს ბავშვთა შრომითი თუ სხვა ფორმით ექსპლუატაციისგან დაცვას და ქმნის დროული გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს. ძალადობისა და ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენისას მსხვერპლი ბავშვები იგზავნებიან სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თავშესაფრებში, სადაც მათ ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციის სათანადო კურსი უტარდებათ. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულები პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

ქუჩის ბავშვები

194. ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების (ჩღჩ/ჩ/GEO/ჩO/3) 65-ე პარაგრაფზე დაყრდნობით, “მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა” აკმაყოფილებს უსახლკარო ბავშვთა პირველად საჭიროებებს (უზრუნველყოფს თავშესაფრით, საკვებითა და სამედიცინო მომსახურებით) და, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, უწევს ფსიქოლოგიურ დახმარებას და ახორციელებს საგანმანათლებლო თუ პროფესიული მომზადების პროგრამებს. ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, ბავშვებზე ზრუნვისა და მათი კეთილდღეობის დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, 2012-2015 წლებში შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოში შემავალი სამუშაო ჯგუფები მოიცავს სათანადო უწყებების წარმომადგენლებს და მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიცირებულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საჭირო სამუშაოებს: საგანმანათლებლო საჭიროებებზე მომუშავე ჯგუფს, სამედიცინო მომსახურების საჭიროებებზე მომუშავე ჯგუფს, დოკუმენტაციაზე მომუშავე ჯგუფს, რეფერირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფს, მომსახურების პრინციპებზე მომუშავე ჯგუფს, საზოგადოების ინფორმირებაზე მომუშავე ჯგუფს, პერსონალის ტრენინგისა თუ კვალიფიკაციის

ამაღლების საკითხებზე მომუშავე ჯგუფსა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფს.

195. სახელმწიფო უსახლკარო, ე.წ. "ქუჩის" ბავშვების პრობლემის მოგვარების მიზნით კრიზის-ცენტრების ამოქმედებას უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს. ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე, ამგვარი კრიზის-ცენტრები ძირითად აქცენტს სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამებზე გააკეთებენ. სხვადასხვაგვარი პრობლემების, საჭიროებებისა და ინტერესების მქონე ბავშვებთან მრავალფუნქციური გუნდი იმუშავებს.

196. 2012 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, განახორციელა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი "ახალი შესაძლებლობები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის". პროექტის უშუალო პროვაიდერები და პარტნიორებია ორგანიზაცია "საქართველოს კარიტასის" (Caritas Georgia) "ბავშვი და გარემოს" (Child and Environment) და "მსოფლიო ხედვის" (World Vision International) ადგილობრივი ოფისები. პროექტის მიზანია ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა საზოგადოებაში რეინტეგრირების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და თემზე დაფუძნებული სრულყოფილი სისტემის შექმნა.

197. სერვისის უზრუნველყოფას რაც შეეხება, პროექტი გულისხმობს ბავშვებთან უშუალო კონტაქტში მყოფი 3 მობილური ჯგუფის, 3 დღის ცენტრის, 2 კრიზისული ინტერვენციის ცენტრისა და 2 ტრანზიტული ცენტრის შექმნას. 2014 წლის იანვარში უკვე აქტიურად მუშაობდა სამი მობილური ჯგუფი და 1 დღის ცენტრი.

198. ამჟამად "თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი" 40 ბავშვს ემსახურება. დაწესებულების საქმიანობაში ჩართულები არიან ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და მასწავლებლები/თანატოლ-განმანათლებლები პროფესიული, შემეცნებითი, კულტურული და ფიზიკური აღზრდის სფეროებში. დაწესებულების პერსონალი სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად ასრულებს ყველა საჭირო პროცედურას, უზრუნველყოფს ბავშვებს დაზღვევის ვაუჩერებით და ახორციელებს ყველა საჭირო საგანმანათლებლო ღონისძიებას (იქნება ეს, ძირითადი უნარების განვითარება, აკადემიური ჩამორჩენის აღმოფხვრა, ორიენტაციის უნარის შეძენა, პროფესიული განათლებით უზრუნველყოფა თუ საშუალო განათლების პროცესში ჩართვა).

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია

199. 2012 წლის ნოემბერში "კიბერდანაშაულის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო. ხსენებული სამმართველო არის ძირითადი ორგანო, რომელიც ბავშვთა ონლაინ პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენციას,

გამოვლენას, ზედამხედველობასა და გამოძიებას ახორციელებს. დაარსების შემდეგ, კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ წარმატებით დაბლოკა ერთი კანონდამრღვევი, რომელიც ქართულ ვებ-რესურსს ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი ვიდეორგოლების ასატვირთად იყენებდა.

200. საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ "ორმხრივი სამართლებრივი დახმარების" პროცედურების კომპლექსურობა და დროში გაწელილობა უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს გლობალურ ქსელში ბავშვებზე სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის საქმეში, რადგან მნიშვნელოვნად აფერხებს საკვანძო საგამოძიებო ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე დროულ გაცვლას. ბავშვთა ონლაინ პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო 24-საათიანი საერთაშორისო საკონტაქტო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს - როგორც ამას "კიბერდანაშაულის შესახებ" ევროპის საბჭოს 2001 წლის კონვენცია მოითხოვს. სამმართველოს ბავშვთა ონლაინ პორნოგრაფიასთან დაკავშირებული ოპერატიული ინფორმაციის გაგზავნა და მიღება "ორმხრივი სამართლებრივი დახმარების" პროცედურების გვერდის ავლით შეუძლია.

201. 2012 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ინტერნეტის საშუალებით ბავშვზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ "გლობალური ალიანსის" ევროკავშირის მიერ ინიცირებულ და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მხარდაჭერილ დეკლარაციას. ალიანსის წევრთა თანამშრომლობის შედეგად, 2013 წელს საქართველოსა და ისრაელის სამართალდამცავმა ორგანოებმა და აშშ-ის ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ (FBI) გამოავლინეს და გამოიძიეს ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული ერთი შემთხვევა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

202. 2012 წლის აპრილში, ბავშის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 68-ე პარაგრაფზე დაყრდნობით, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) რეკომენდაციების[19] შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2006 წლის კანონში და დაამატა ახალი თავი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბავშვ მსხვერპლთა შესახებ, რომელიც შეიცავს ინდივიდუალური რისკების შეფასებას ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით,

[19] ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) ანგარიში, §§17 და 22.

ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს და, აგრეთვე, იმ ბავშვებს, რომლებიც ახლდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლ მშობლებს, აქვთ კანონით მინიჭებული უფლებები და აუცილებლობის შემთხვევაში, იღებენ საცხოვრებელს, ასაკის შესაფერის განათლებასა და ბავშვის საჭიროებების შესაბამის დახმარებას. ამ ცვლილების წყალობით ქართული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სრულად არეგულირებს ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებს.

203. ადამიანით ვაჭრობის კრიმინალიზებას "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონის გარდა, სისხლის სამართლის კოდექსიც ახდენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის თანახმად იკრძალება -ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა ან გადამალვა ექსპლუატაციის მიზნით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის 143[2] მუხლით იკრძალება არასრულწლოვნის ტრეფიკინგი - არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ასეთი ქმედების ჩადენისთვის კანონი სასჯელის სახით, 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იმავე ქმედებების დამამძიმებელ გარემოში ჩადენის შემთხვევაში სასჯელის ვადა 17 წლამდე იზრდება; ხოლო ქმედება, რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 17-დან 20 წლამდე.[20]

204. საქართველოს მთავრობა ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ახალ ფორმებთან შესაბამისობაში მოყვანას შეუდგა. ამ მიზნით რიგი ღონისძიებები განხორციელდა:

ა) 2013 წლის აპრილში "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს" ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის გადახედვა და არსებული ხარვეზების შესწორება დაევალა. სამუშაო ჯგუფი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფმა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ახალ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლში შესატანი ცვლილებების პროექტი შეიმუშავა. შენიშვნა "ექსპლუატაციის"

[20] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლი.

ტერმინის განსაზღვრებას იძლევა. ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უფრო არაორაზროვანი გახდება ადამიანით ვაჭრობასთან მიმართებაში და მისი გამოყენება საგრძნობლად გაუადვილდებათ, როგორც საგამოძიებო, ასევე სასამართლო ორგანოებს. კანონპროექტში ასახვა ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის რეკომენდაციებმა იძულების არა-ფიზიკურ ფორმებთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფმა მრავალი უწყებათაშორისი შეხვედრა ჩაატარა. გარდა ამისა, ტრეფიკინგთან დაკავშირებული მუხლებისა და მათში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების განხილვის მიზნით, ჩატარდა კონსულტაციური ხასიათის შეხვედრები სისხლის სამართლის სპეციალისტებთან.

2013 წლის ბოლოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების საბოლოო პროექტი საერთაშორისო დონეზე საექსპერტო შეფასების მიზნით, "გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა" (UNODC) და "მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის" (IOM) სათავო ოფისებში გადაიგზავნა.

ბ) მეტიც, 2013 წლის აპრილში "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს" ფარგლებში შეიქმნა კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული დასრულებული სასამართლო საქმეების განხილვას შეუდგა. ამ პროცესში პროკურორები, მოსამართლეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, უზენაესი სასამართლო და "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს" სამდივნო მონაწილეობდნენ. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა, როგორც სექსუალურ ექსპლუატაციასთან, ასევე იძულებით შრომასთან დაკავშირებული დასრულებული და შეწყვეტილი სასამართლო საქმეები.

გ) გარდა ამისა, 2012 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ (ბრძანება N762) დაამტკიცა "ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა" და მისი განხორციელების მიზნით შექმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. სხვა საქმეებთან ერთად, საბჭო ქუჩის ბავშვების პრობლემებზეც მუშაობს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის

საფუძველზე ახორციელებს პროექტს ე.წ. "ქუჩის ბავშვების" საკითხის მოგვარების მიზნით. ხსენებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო და ოპერატიული ჯგუფები ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების მიზნით, როგორებიცაა ბავშვის იდენტიფიცირება, რეგისტრირება და ა.შ.

205. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თანადგომით, 2013 წლის მაისში მოწვეულმა ექსპერტებმა და ადგილობრივმა ტრენერებმა ჩაატარეს პოლიციის თანამშრომელთა ტრენინგი თემაზე "მტკიცებულებების შეგროვება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებთან დაკავშირებით". წვრთნის პროგრამა მოზარდებთან ურთიერთქმედების სპეციფიკური უნარების სწავლებას ითვალისწინებდა. ტრენინგი პოლიციის 37-მა სპეციალიზებულმა თანამშრომელმა გაიარა. 2007-2013 წლებში სისხლის სამართლის საქმე ტრეფიკინგის 29 შემთხვევის (ძირითადად, ბავშვებთან მიმართებაში) გამო აღიძრა, და 37 პირის მიმართ სამართლებრივი დევნა განხოციელდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირება

206. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს მთავრობისთვის ერთი უმთავრესი პრიორიტეტული სფეროა. მისი რეფორმა საქართველოს სისხლის სამართლის საერთო რეფორმის შემადგენელი ნაწილია და "სისხლის სამართლის რეფორმის" უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ (საბჭო)[21] ხორციელდება. 2009 წელს საბჭომ შეიმუშავა "სისხლის სამართლის რეფორმირების სტრატეგია" და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რაც სისხლის სამართლის კოდექსში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ თავსაც მოიცავს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია საგანგებოდ უფლებამოსილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა. ეს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციას, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფას, სისხლის სამართლის საქმის წარმოების/სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების ხელშეწყობას, და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების განათლებით უზრუნველყოფასა და სარეინტეგრაციო თუ სარეაბილიტაციო სქემების შექმნას. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის სანახავად იხ. II დანართი.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი

[21] შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 13 დეკემბრის N591 ბრძანებულების ("სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ") საფუძველზე.

207. ბავშის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 73-ე პარაგრაფის შესაბამისად და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია. შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენ 14-დან 18 წლამდე პიროვნებას არასრულწლოვანი დამნაშავე ეწოდება.

208. 2010 წლის თებერვალში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევიდა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად 14 წელი განისაზღვრა.[22]

უმცირესობათა ჯგუფებში შემავალი ბავშვები

209. ბავშის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 73-ე პარაგრაფის შესაბამისად, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ განათლება მშობლიურ ენაზე მიიღონ. ეროვნული სასწავლო გეგმა უმცირესობების წარმომადგენლებს მშობლიური ენის სწავლის საშუალებასაც აძლევს. გარდა ამისა, ისინი თავიანთი ისტორიული სამშობლოების ისტორიასა და გეოგრაფიას, კულტურასა და ტრადიციებსაც სწავლობენ. მეორე მხრივ, საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზებისა და საზოგადოებაში წარმატებით ინტეგრირების ხელშესაწყობად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო ენაც ესწავლებათ.

[22] შედარებისთვის იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999).